



ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ორგანიზი პასუხისმგებლობა, თუ ქალის გადაგვება?



იხილეთ მე-3 გვერდზე

„ქართული
ოცნების“
მხარდამჭერმა
„ოცნების“ მაისური
ღანწა

იხილეთ მე-6 გვერდზე

დავითაშვილმა
ქუთაისელმა
აღაფიანები კი არა,
„ნასიონალური“
შენიშნა...

იხილეთ მე-4 გვერდზე

„ქართულ ოცნებას“
კიდევ სამი
დაკუთვანი შეემატა

იხილეთ მე-3 გვერდზე

პრაზიკანტის
ვეტო დაკლავილია

იხილეთ მე-2 გვერდზე

„მე შემიყვარდა ეს
აღაფიანები“

საზოგადოებას,
ფსიქიკურად დაავადებულ
პირებსა და სახელმწიფოს
შორის არსებული
ხიდგატეხილობის
პრობლემა უნდა დაგვძლიოთ

იხილეთ მე-6 გვერდზე

სასარგებლო
ალუბალი

იხილეთ მე-7 გვერდზე

„არაკოჰაბიტაციური“ ქუთაისობა

„გვირილობის“, ანუ „თეთრი გვირილის დღესასწაულის“ აღნიშვნას გასული საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. მაშინ სახალხო ზემოთ გაცილებით მოკრძალებულ სახეს ატარებდა, თუმცა დიდ მისიას ემსახურებოდა:

საქველმოქმედო საზოგადოების მიერ მერჩეული ულამაზესი ბანოვანები და გიმნაზიელი გოგო-ბიჭები ბულვარში გვირილების გაყიდვიდან შემოსულ თანხას ჭლებით დაავადებულთა დასახმარებლად აგროვებდნენ. „გვირილობამ“ და ორმისობამ უკანასკნელ

პერიოდში სულ სხვა ფუნქცია შეიძინა და ქუთაისობის დღესასწაულად გადაიქცა. მიმდინარე წელს ორმისობა ქუთაისის ბიუჯეტიდან 80 000 ლარით დაფინანსდა, რაც გასულ წელთან შედარებით 20 000 ლარით ნაკლებია.

ღონისძიებები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დილის ათი საათიდან დაიწყო.

11 საათისათვის „ოქროს ჩარდახის“ ეზოში ქუთაისობის აღსანიშნავად პარლამენტარები შეიკრიბნენ. პოზიცია და ოპოზიცია „კოჰაბიტაციას“ ვერც ქუთაისობის ხათრით მიადრეის

— გასულ წლებში ესოდენ გააქტიურებული „ნაციონალური“ სახეები თითქმის არსად ჩანდნენ... გარდა პოლიტიკოსებისა, დღესასწაულის სიმბოლოებაში ერთმანეთს ყვავილებიც კი ეჯიბრებოდნენ. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამჟამად ცდილობდნენ, „გვირილობა“ აკაცისეული „სავარდო და სამისო ქუთაისით“ ჩაენაცვლებინათ და ყოფილი ხელისუფლებისათვის რევოლუციის სიმბოლო „ჩამოერთმიათ“. აღნიშნა კიდევ ერთ-ერთმა დეპუტატმა: „ვარდს დავუბრუნოთ უპირველესი მნიშვნელობა, რაც

მათ „ნაციონალებმა“ წაართვეს და რევოლუციის სიმბოლოდ აქციეს“. თუმცა, სავარაუდოდ, მრავალწლიან ტრადიციასთან ბრძოლა ადვილი არ აღმოჩნდება და ორმისობა მომავალ წელსაც „გვირილობის დღესასწაულად“ აღინიშნება.

ქართული სიმღერებით, ლექსებით და მილოცვებით შეეგებნენ ორმისობას „ოქროს ჩარდახში“ შეკრებილნი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ზაზა წერეთელი:
„სადაზღვევო სისტემა ჩვენში მხოლოდ ფულის გაკეთების განქანად აღიქმება“



იხილეთ მე-4 გვერდზე

საქართველოსთვის მონაგებრივად აღსრულებული აფხაზი




იხილეთ მე-5 გვერდზე

კომერსიონი
კომერსიონი-გე

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ: 790 927 927.



**წიგნები
უნე გალოდავა!**

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „კომერსიონი“, ტელ: (790) 927 927.

PS news.ge



პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამო, დავით კირვალაძე თანამდებობიდან გადადგა

შს სამინისტრომ და საგამომცემო სამსახურმა, სასოფლო-სამეურნეო ბარათების კანონდარდგევით გამოყენებისა და სხვისი ქონების თაღლითურად დაუფლების ბრალდებით, 1 მაისს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10-ზე მეტი მაღალჩინოსანი დააკავა.

ამ ფაქტის გამო პოლიტიკური პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალაძემ და უფლებამოსილების შეჩერების თხოვნით მთავრობას 2 მაისის სხდომაზე მიმართა. მისი თქმით, ის გრძობს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე და მთავრობას უფლებამოსილების შეჩერება სწორედ ამიტომ სთხოვს. კირვალაძის ინფორმაციით, პრემიერმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება უწყდება. „სამინისტროს თანამშრომლების უმრავლესობა ძალიან წესიერი და კეთილსინდისიერი ადამიანია. მათ შორის ჩემი ბევრი მეგობარია. დარწმუნებული ვარ, რომ სიტუაცია მალე გაირკვევა, რადგან აუცილებელია, სიმართლე დადგინდეს. პროცესის დასრულებამდე კი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ და გადადგომის გადაწყვეტილება მივიღე.“ — განაცხადა დავით კირვალაძემ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობას მისი მოადგილე შალვა ფიფია შეასრულებს.

დავით კირვალაძემ კომენტარი გააკეთა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსნის დაკავების შესახებაც და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება ყველაფერს გაარკვევს.

„მიმდინარე პროცესებში ნებისმიერი სახის ჩარევა, ზეწოლა და მანიპულირება იქნება ძალიან ცუდი. ვაცდლოთ შესაბამის ორგანოებს, დაადგინონ სიმართლე. რაც მთავარია, გაითვალისწინეთ ერთი რამ — უდანაშაულობის პრეზუმპცია,“ — აღნიშნა მან.

„არაკოვპაბიტასიური“ ქუთაისობა

პირველი გვერდიდან

გუბაზ სანიკიძე, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი: „მინდა მივულოცო ქუთაისის ორმახობა და ასევე მთელ საქართველოს. ქუთაისში რომ გაზაფხული იცის, დედამიწაზე არ იცის არსად. ქუთაისის როლი განსაკუთრებული იყო წარსულში, საქართველოს ისტორიაში, და მომავალშიც ასე იქნება. რაც შეეხება ქუთაისის განვითარებას, ეს იქნება პერსპექტიული ქალაქი და მისი განვითარების საკითხი ჩვენი ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანია. უახლოეს პერიოდში, უფრო ზუსტად კი ამ თვეში მოხდება ქუთაისის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების პრეზენტაცია და ყველანი ერთად ვნახავთ, როგორი სერიოზული პროექტების განხორციელებას გვემთხვევა. ყველა ის დაპირება, რაც წინასაარჩევნოდ იყო ასრულებდა. რაც შეეხება იმას, დარჩება თუ არა ქუთაისი საპარლამენტო ქალაქი, ეს არის პარლამენტის გადასაწყვეტი, მარტო მე ვერ გადაწყვეტ. ჩემი სურვილია, ქუთაისი იყოს არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის ინტელექტუალური და საგანმანათლებლო ცენტრი.“

„P.S.“ კიდევ რამდენიმე დეპუტატს გაესაუბრა:

იმარ ნიშნაძე, პარლამენტის წევრი: „ეს არის ტრადიციული ქუთაისობა. გვიწოდებ, ცოტა განსხვავებულად ჩავგეტარებინა, არ გვსურდა, ტყეში და მუხნარში აღგვეჩინა. მართალია, იქაც გავალო, მაგრამ ძირითადი შეკრება „ქართულმა ოცნებამ“ და „დემოკრატიულმა საქართველომ“ გადაწყვიტეთ, იმერეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაში ჩავგეტარებინა. მოვიწვიეთ ქალაქის შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელექტუალი. ერთმანეთს მივესალმეთ, გავიხსენეთ წარსული, ვისაუბრეთ დღევანდელსა და, ასევე — სამომავლო გეგმებზე და ტრადიციული ქართული სიმღერების ფონზე მივულოცეთ ერთმანეთს ეს დღე.“

ორმახობა ქუთაისელებს სხვა დეპუტატებმაც მიულოცეს და ქუთაისის ისტორიულ მნიშვნელობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

თინა ხიდაშელი, პარლამენტის წევრი: „დღევანდელ დღეს ვულოცავ ყველას. ჩვენ გასულ წლებშიც აქტიურად ჩამოვდიოდით ქუთაისში და, ბუნებრი-

ვია, დღეს, როდესაც ამ ქალაქში გვიწევს მუშაობა, გვიწევს მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა ღონისძიებაში და ბევრ ადამიანს გავესაუბროთ. ქუთაისის ფუნქციასთან დაკავშირებით, სტანდარტული დამოკიდებულება მაქვს: ყველა ქალაქი ბუნებრივი პროცესით უნდა განვითარდეს და ამას სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, მაგრამ შეუძლებელია საქართველოს პარლამენტის ქუთაისში მუშაობა, რადგან არაფერმეტყუროს და ჩვენი შრომის უნარიანობა განახევრებულია, ვინაიდან არ გვაქვს ერთი სტაბილური სამუშაო ადგილი.“

ანალოგიური შინაარსის მილოცვები ჰქონდათ პარლამენტარებს ზაქარია ქუცნაშვილსა და მანანა კობახიძეს.

„ოქროს ჩარდახში“ გამართულ შეხვედრაზე ქუთაისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.

მარიკა სამანიშვილი, მსახიობი: „ეს ქალაქი ყოველთვის ხალხმრავლობით გამოირჩეოდა და მინდა მომავალშიც ისეთივე იყოს. გარბის ხალხი ქალაქიდან ეკონომიური პრობლემების გამო... არადა, კარგი მომავალი თათბარია მოდის, რომელსაც ხელის შეწყობა უნდა იმ მხრივ, რომ ქალაქი ცოტა გაიზარდოს, მასშტაბური გახდეს და პრესტიჟული გახდეს აქაურობა. არ იყო ამ ქალაქში პარლამენტი, მაგრამ თავისი ღირსება ჰქონდა და შვა უამრავი დიდი ადამიანი მწერლობაში, თეატრალურ სამყაროში, მუსიკალურ სამყაროში და, საერთოდ, მთელ მსოფლიოს გააცნო მათი დაბადების ადგილი — ქუთაისი, რომლის დღეობასაც ახლა ვხევიდებით.“

ქუთაისობის დღესასწაულზე ხელი-სუფლების წარმომადგენლებმა და რიგობა ქუთაისელებმა პატივი მიაგეს და ყვავილებით შეამკეს სამი ოთარის ძეგლი, ასევე ორმახობას გამოეხმაურა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. სპეციალურად დადგმულ დეკორაციაში გააცოცხლეს გვირილობის დღესასწაულის ტრადიცია და მოაწყვეს გამოფენა.

იმარ ლანჩავა, პროფესორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი: „ეს არის ქუთაისის დღე, რომელსაც ვულოცავ ყველა ქუთაისელს და არა მარტო ქუთაისელს. გასულ საუკუნეში „გვირილობის“ დღესასწაული მარტო ზეიმი არ იყო, არამედ საქველმოქმედო ხასიათისაც



„P.S.“-ის ფოტო (ნესტან ჩაბალიძე/ნილი) ©

ატარებდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს რეალობაშიც მრავლადაა ადამიანი, ვისაც დახმარება სჭირდება, ამიტომ უნდა გამოვხატოთ მათ მიმართ თანადგომა. რაც შეეხება დღევანდელ გამოფენას, შევეცადეთ, გავცუცხლებინა ის ძველი ტრადიცია და ჩვენც შევერთებოდით დღევანდელ ღონისძიებებს.“

15:00 საათზე დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ქუთაისი და ქართული კინო“, რომელიც პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ 100 წლისთავს მიძღვრავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქუთაისთან მიმართებაში ქართული კინოს განვითარების სხვადასხვა ეტაპი: „ვეფხისტყაისის“ დიდიმელოდრისული წარმოდგენები, კინოში გაცოცხლებული გაბრიადისეული ქუთაისი, ვასილ ამაშუ-ველიის, გიორგი შავლეტიშვილის, ვერვიკო ანჯაფარიძის, რეზო ჩხეიძის, შოთა მინაგაძის და სხვათა არქივები და მემორიალური ნივთები.

ანალოგიურად, პირველ საჯარო სკოლაშიც გაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „ექვთიმე თაყაიშვილი და პირველი სკოლა“, ასევე მოეწყო ამ სკოლის სასახლეო კურსდამ-

თავრებულებისადმი მიძღვნილი ღია ბარათების პრეზენტაცია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური მასალა ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და იროდიონ სონღულაშვილის პირადი არქივებიდან.

ქუთაის-ქალაქობის დღესასწაულს გამოეხმაურა საგამოფენო დარბაზი „ვარლაც“, სადაც წარმოდგენილი იყო 38 ავტორის მიერ გრაფიკასა და ფერწერაში შესრულებული 82 ნამუშევარი, ასევე გობელნები და ქანდაკებები.

ტრადიციულად გაიმართა ღვინის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა 40-მდე ღვინომ მიიღო. ოთხკაციანმა ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა, რომლებსაც ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ.

„გვირილობის“ დღესასწაულზე გაიმართა ყვავილების გამოფენა. თუმცა, დღის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გვირილების სიჭარბე შეიძინებოდა.

ცენტრალურ ბაღში მოეწყო სხადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, რომელიც დღის ბოლოსათვის გალა-კონცერტით დაგვირგვინდა.

ნესტან ჩაბალიძე/ნილი ქათავან ლაბანიძე

პრეზიდენტის ვიზო დაქვრივდა

საქართველოს პარლამენტმა 91 ხმით დაძლია პრეზიდენტის ვეტო ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხთან დაკავშირებით, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დიპლომატიკურების წესისა და საბჭოს მოქმედი შემადგენლობის შეცვლის ითვალისწინებს. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პროექტი, ვადამდე უწყვეტად უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 13-ს.

საკანონმდებლო ორგანოს მიერ 5 აპრილს დამტკიცებულ კანონპროექტს პრეზიდენტმა ვეტო 23 აპრილს დაადო. როგორც საპარლამენტო უმცირესობის წევრები აცხადებდნენ, პრეზიდენტის შენიშვნების გათვალისწინების გარეშე, კანონპროექტი სასამართლო სისტემის პოლიტიზების გამოიწვევდა. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების განცხადებებს არ დაეთანხმა საპარლამენტო უმრავლესობა.

ვეტოს დაძლევის პროცედურა კი ასეთი იყო: 1 მაისის სხდომაზე დეპუტატებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ საკანონმდებლო პაქეტის ორ ვარიანტს შორის: პირველია ის, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა და რომელსაც პრეზიდენტმა, ხელმოწერის ნაცვლად, ვეტო დაადო, და მეორე — პრეზიდენტის შენიშვნების შემცველი ვარიანტი.

„ჩვენ მიერ წარმოდგენილი შენიშვნებით, კანონპროექტი, უფლებამოსილება შეუწყუდება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ და პრეზიდენტის მიერ დანიშნულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს

და, აგრეთვე, იუსტიციის საბჭოს იმ მოსამართლე წევრებს, რომლებიც არ არიან არჩეული მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეებს, მათ მიეცემა ვადა, არჩევანი გააკეთონ იუსტიციის საბჭოს წევრობასა და სასამართლოს თავმჯდომარეობას შორის,“ — განაცხადა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა

დემეტრი ძანდიძემ პარლამენტის 1 მაისის სხდომაზე, როდესაც დეპუტატებს პრეზიდენტის „მოტივირებული შენიშვნები“ გააცნო.

ყველაზე მნიშვნელოვანი „მოტივირებული შენიშვნა“ — საბჭოს წევრების ვადამდე დათხოვნა!

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის უფლებამოსილების ვადაზე აღრე შეწყვეტა არის ის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომლის გარეშე მოკ უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია იტყობინებოდა 23 აპრილს, „ქართულმა ოცნებამ“ არ გაითვალის-

წინა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც გამართლებული არ იქნებოდა მოსამართლეთა მაკონტროლებელი სტრუქტურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის სრული განახლება. ვენეციის კომისიის აზრით, ეს შეიძლება მავნე პრაქტიკად იქცეს და ასევე მოიქცეს ყოველი ახალი ხელისუფლება, რაც პროცესის პოლიტიკურ მარწმუნებში მოქცევის საფრთხეს ქმნის.

ასევე, სადაო გახდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 6 წევრის საკითხი, რომლებიც, საზოგადოებრივი წრეების წარდგინებით, პარლამენტმა ფარული კენჭისყრით უნდა აირჩიოს. დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ეს ექვსი წევრი პარლამენტმა ხმების 2/3-ით უნდა დაამტკიცოს, რაც ქმნის უმცირესობის დეპუტატთა ხმების საჭიროებასაც.

მაგრამ ჩინური სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, თუკი პირველ ტურში კანდიდატები 2/3-ის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ, გაიმართება მეორე ტური, რომლის დროსაც საბჭოს წევრის დასამტკიცებლად 76 ხმა იქნება საკმარისი. ეს პროცედურა შეეხება ექვსიდან ოთხ ადგილს, ხოლო დანარჩენი 2 კანდიდატის შემთხვევაში აუცილებლად ხმათა 2/3 იქნება საჭირო. რაც შეეხება პრეზიდენტის ინიციატივას, მისი მიხედვით, ექვსის ნაცვლად, ოთხი არამოსამართლე წევრი უნდა

დაამტკიცოს პარლამენტმა. ყველა კანდიდატი ხმების 2/3-ით უნდა დამტკიცდეს, მაგრამ თუ ეს ორი ტური ვერ მოხერხდება, მანინ მათი კანდიდატურები დასამტკიცებლად მოსამართლეთა კონფერენციას წარედგინება.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის მოახერხებდა, რადგანაც ამისთვის 89 დეპუტატის მხარდაჭერა იყო საკმარისი. 1 მაისს პრეზიდენტის ვეტო პარლამენტმა 91 ხმით იმ კანონპროექტების მხარდაჭერით დაძლია, რომელიც 5 აპრილს იყო მიღებული. ვეტოს დაძლევაზე პარლამენტმა კენჭი უყარა პრეზიდენტის შენიშვნების შემცველ ვარიანტსაც და პაქეტში შემავალ თითოეულ კანონს 80-ზე მეტი მოწინააღმდეგე დეპუტატი გამოუჩნდა.

საჯარო დებატები მინისტრსა და სასამართლოს შორის

პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილს საჯაროდ, წერილთა მიმართა, სადაც ნათქვამია, რომ ის რეფორმა ქართულ კანონმდებლობას ევროპულ სტანდარტებთან აახლოვებს და ამას პრეზიდენტის ვეტო ხელს ვერ შეუშლის.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
რედაქტორი: ნანული ცხვედიანი
დანიშნულება: ირმა ბახტაშვილი
მედიური და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი
რეკლამის მენეჯერი: ლელა თოლორაძე
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ეთხვეოდეს რედაქციისას.
ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე
გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსოციალიზმი).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ა-1401
გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უაიკ) 3+321 (479.22) (054)
კ - 658
P - 86
მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.
(032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
psnews27@gmail.com
www.psnews.ge

ორმხრივი პასუხისმგებლობა, თუ ძალის გადამეტება?!

1 მაისს „ლაბორატორია 1918-ის“ მიერ ორგანიზებული, დასაქმებულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი აქცია მონაწილეებისა და ჟურნალისტების დაკავებით დასრულდა. 300-მდე სტუდენტისგან შემდგარი აქციის მონაწილეებსა და საპატრულო პოლიციის შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც მარჯანიშვილიდან რუსთაველის გამზირზე ამოსულმა აქციის მონაწილეებმა გზის სავალი ნაწილი გადაკეტეს და სხვადასხვა შენობაზე შავი საღებავით წარწერები გააკეთეს.

აქციის მონაწილეებმა მსვლელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან, სკანდირებიდან და შრომითი უფლებების დაცვის შინაარსის მქონე ტრანსპარანტებით დაიწყეს და გზა უნივერსიტეტიდან ელბაქიძემდე მშვიდობიანად გაიარეს.

გაზეთ „პოსტსოციალიზმი“ „ლაბორატორია 1918-ის“ წევრი ალექსანდრა არაშვილი იხსენებს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მათ სახლოვეს უკვე ელბაქიძის ქუჩაზე გამოჩნდნენ და ტროტუარების გასწვრივ განთავსდნენ, რათა აქციის მონაწილეებს გზა არ გადაეკეტათ.

„ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ბევრი პოლიციელი იყო, რომლებიც პირდაპირ პროვოკაციებს აწყობდნენ. ერთ გოგონას ბოთლიც კი ესროლეს, რის გამოც გონება დაკარგა. რაც შეეხება ჩვენი მხრიდან დარღვევებს, რა თქმა უნდა, იყო რაღაცები, მაგრამ პოლიციელებს სიტყვიერად ვიზიტირებ მეტრად დასაწყობდნენ მომიტინგეებს. გარდა ამისა, ვფიქრობ, რიგითი მოქალაქეებს მეტად შეუძლიათ გამოხატონ პოლიციის, როგორც სისტემის, მიმართ თუნდაც უარყოფითი დამოკიდებულება, ვიდრე პოლიციას — მოქალაქეების მიმართ.“

— აღნიშნა ალექსანდრა არაშვილი.

„ლაბორატორია 1918-ის“ წევრის თქმით, საპატრულო პოლიციამ ორმოცამდე აქტივისტი დააკავა, ამ დროისთვის ყველა მათგანი ხელწერილის

საფუძველზე გათავისუფლებულია, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულთა ზუსტ რაოდენობას ვერ იხსენებს.

აქციის დარბევითანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულთა შორის მეცხრე არხის და ლიბერალის ორი ჟურნალისტიც იყო. მოგვიანებით, ლიბერალის ჟურნალისტმა ანი ჭანკოტაძემ ჩვენთან საუბრისას განმარტა, რომ ის დააკავა, როგორც აქტივისტი და არა — როგორც ჟურნალისტი.

არაერთი ორგანიზაციისთვის კრიტიკის საფუძველი გახდა არამხოლოდ ჟურნალისტების დაკავება, არამედ მათთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა და მოქალაქეების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შელახვა.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 1 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში ჟურნალისტების დაკავებისა და მათთვის პროფესიული მოვალეობების განხორციელებაში ხელის შეშლის სამართლებრივი საფუძვლის დაკონკრეტებას ითხოვს.

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მიმართავს სამართალდამცველ ორგანოებს, იმოქმედონ კანონის შესაბამისად, არ შეუშალონ ხელი მედიის წარმომადგენლებს საკუთარი საქმიანობის განხორციელებაში და დროულად განუმარტონ საზოგადოებას, რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა ჟურნალისტების დაკავებას.“ — ნათქვამია ქარტიის განცხადებაში.



1 მაისის მოვლენებს გამოეხმაურა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც და განმარტა, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, მათ შორის წინასწარი ნებართვის გარეშეც და პოლიციამ არა მხოლოდ უნდა დაიცვას მოქალაქეები, არამედ — თავი უნდა შეიკავოს არაგონივრული შეზღუდვების დაწესებისგან აქციის მონაწილეების მიმართ.

„ამ დროისთვის გავრცელებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში პოლიციელების მხრიდან აღდგომი ჰქონდა არაპროპორციული

ძალის გამოყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოქვეყნებული მასალიდან შესაძლოა იკვეთებოდეს ჟურნალისტების პროფესიულ მოვალეობაში ხელის შეშლის ფაქტები, რაც შესაბამისი სამართალდამცავი პირების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.“ — კვითხულობს სიახს განცხადებაში.

1 მაისის აქციის დარბევა კრიტიკის საფუძველი გახდა მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მხრიდანაც.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი „ნეტგაზეთთან“ საუბრისას საპატრულო პოლიციის ქმედებას პროგრესულ უწოდებს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად გამოვლენილი ხარვეზებისა, პოლიციის ქმედება სამაგალითო იყო.

„არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ეს იგივე ხალხია, რომლებიც ძალადობით არბევდნენ, ცემდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ აქციის მონაწილეებს. დღეს გამოჩნდა, რომ პოლიტიკური ნება შეცვლილია, თუმცა ვერ 7 თვე გავიდა და ნუ გვექნება წარმოდგენა, რომ პოლიციელები უკვე ანგელოზები გახდნენ.“ — აღნიშნა თინა ხიდაშელი.

აქციის დარბევის ფაქტი უარყოფითად შეაფასა და პოლიციის ქმედება დამო უმცირესობის წევრმა თინა ბოკუჩავამ.

ბოკუჩავა საფუძვლიანი გამოძიების ჩატარებას მოითხოვს და აღნიშნავს, რომ მედიის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევით ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი იკლებს.

მომხდარის შესახებ განცხადება **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** 1 მაისი საღამოსვე გაავრცელა. შსს განმარტავს, რომ სამინისტრო პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, მათ შორის შეკრების, გამოხატვისა და მანიფესტაციის უფლებას. ამასთანავე მიუთითებს იმ დარღვევებზე, რომელთაც აქციის მონაწილეების მხრიდან ჰქონდა

აღდგომა. „აქციის მსვლელობისას დაზიანდა ერთ-ერთი მოქალაქის და რამდენიმე საპატრულო პოლიციის მანქანა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მათ არაერთხელ მოუწოდეს წესრიგის დაცვისკენ, თუმცა აქციის მონაწილეები სამართალდამცველთა მოთხოვნებს არ დაემორჩილნენ.“ — ნათქვამია განცხადებაში.

2 მაისს აქციის დარბევასთან დაკავშირებით განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომ **ირაკლი ღარიბაშვილმა** გააკეთა და პოლიციის მხრიდან ძალის გადაჭარბება გამოიკრიტიკა.

ღარიბაშვილის თქმით, რადგან მშვიდობიანი მანიფესტაცია არაორგანიზებულ და ქაოტურ მანიფესტაციაში გადაიზარდა, პოლიციის ქმედება იყო აბსოლუტურად ადეკვატური.

„ჩვენ ვართ ხელისუფლება და ეს არის სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს ორი გზა, თუ გვინდა ქაოსი, მაშინ მხარი უნდა დაუჭიროთ გუმინდელი აქციის არასასამოვნო ფორმებს, ხოლო თუ გინდათ სიმშვიდე, უნდა დავედეთ სიმართლისა და ობიექტურობის მხარეს.“ — მიმართა ჟურნალისტებს ღარიბაშვილი.

2 მაისს, საღამოს, შსს-მ აქციის მსვლელობის ამსახველი კადრები გამოაქვეყნა, რომელშიც ჩანს აქტივისტების გადაადგილება, მათ მიერ შენობა-ნაგებობებზე წარწერების გაკეთება, ისმის სიტყვიერი შეურაცხყოფებიც. ასევე ჩანს დაზიანებული ავტომობილები, თუმცა კადრები უშუალოდ დაზიანების პროცესს არ ასახავს.

როგორც ცნობილია, 1 მაისის აქციის დაკავებული მონაწილეების მიმართ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება. ამ დროისთვის ყველა დაკავებული პირი ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლებულია.

თაინა ბათირიშვილი

„ქართულ ოცნებას“ კიდევ სამი დეპუტატი შეემატა

27 აპრილს საქართველოში, სამ საარჩევნო ოლქში, შუალედური საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცეკო) საიტზე გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ნაძალადევის გაიმარჯვა თამარ კორძაიამ, ბაღდათში — პაატა კვიციანიძემ, ხოლო სამტრედიისში — გიორგი კახიანიამ. სამივე მათგანი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ შუალედურ არჩევნებს ექვსი მობილური ჯგუფის მეშვეობით აკვირდებოდა. ორგანიზაციის დამკვირვებლები ნაძალადევის ოლქის ყველა, სამტრედიის ოლქის 40 და ბაღდათის ოლქის 22 უბანზე იმყოფებოდნენ.

„სამივე ოლქში არჩევნებმა, საერთო ჯამში, მშვიდ გარემოში და ამომრჩეველთა დაბალი აქტივობის ფონზე ჩაიარა.“ — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში, სადაც 27 აპრილის შუალედური არჩევნების შეფასებულა.

„რომ გაიმარჯვებდნენ „ქართული ოცნების“ წევრები, ეს ვასაგები იყო. მე მგონი, ყველაფერი ნორმალურად განვითარდა. თბილისში დამოუკიდებელი დეპუტატების კარგი კონკურენცია იყო. რაც მთავარია, ყველაფერი ჩატარდა წყნარად, კულტურულად, ყოველგვარი

ანგაჟირების გარეშე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ანარეკლია წინა არჩევნების, ანარეკლია იმის, რომ ახალი ხელისუფლება მოვიდა. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ასეთი წყნარი იქნება, ოღონდ სხვაობა მონაწილეებს შორის უფრო დიდი იქნება. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ვერ მიიღებს 10%-საც კი, ჩემი ვადმოსახედიდან. აბა, ვნახოთ, რა და როგორ ახდება.“ — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შუალედური არჩევნების შეფასებისას.

თბილისში, ნაძალადევი გამარჯვებული კანდიდატის აზრით კი საქართველოს ხელისუფლებამ აჩვენა, რომ ამ ქვეყანაში, რეალურად, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შესაძლებელია.

„უმნიშვნელოვანესია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ საზოგადოებას

აჩვენა, რომ ამ ქვეყანაში რეალურად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შესაძლებელია. ნაძალადევის შედეგები განსაკუთრებით მკაფიოდ მეტყველებს ამ ყველაფერზე. მე ვთვლი, რომ, აბსოლუტურად ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, ჩვენს ყველა კონკურენტს ჰქონდა შესაძლებლობა, ებრძოლა გამარჯვებისთვის.“ — განაცხადა ნაძალადევი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თამარ კორძაიამ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნაძალადევი, პაპუნა დავითიაც აღიარებს, რომ 27 აპრილის არჩევნების შედეგები, ძირითადად, მოსახლეობის ნებას გამოხატავს და დაფიქსირებულ დარღვევებს შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

„მიუხედავად ძალიან დიდი ზეწოლისა, დაკითხვებზე ჩვენი ხალხის დაბარებისა, მიუხედავად მედიამ გარკვეული პრობლემებისა, რომელიც ჩვენ შეგვექმნა ამ საარჩევნო კამპანიის დროს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არჩევნები და წინასწარი შედეგები, რომელიც უკვე გამოცხადდა, ძირითადად, გამოხატავს მოსახლეობის ნებას. დარღვევებმა,

რომლებიც მრავლად დაფიქსირდა, ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საბოლოო შედეგის დაფიქსირებაზე.“ — განაცხადა დავითიამ და თავის ყოფილ კონკურენტს, „ქართული ოცნების“ კანდიდატს თამარ კორძაიას გამარჯვება მიულოცა.

„შუალედური არჩევნები შეაფასა უწყვეტმაშორისი კომისიის თავმჯდომარემ და უმისრობის საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები იყო, 2013 წლის პარლამენტის შუალედურმა არჩევნებმა, საერთო ჯამში, მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა.

უწყებამაშორისი კომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ საარჩევნო პროცესში ჩართული ოპოზიციის აქტივისტების, საარჩევნო შტაბის წევრების მასობრივი დაბარება დაკითხვებზე, ძირითადად — ძველ საქმეების, მათ შორის — 13 წლის წინანდელ გამოძიებებს უკავშირდებოდა. მას შემდეგ, რაც უწყებამაშორისი კომისიამ გამოძიებების გადავადების შესახებ რეკომენდაცია გააუქმა, დაკითხვაზე დაბარების რამდენიმე ფაქტის ისევ იყო, თუმცა იუსტიციის სამინისტროს ინფორმირების შედეგად ეს პრობლემა აღმოიფხვრა.

ცოხია პაატაშვილი

პრეზიდენტის ვებო დაქოლულია

მე-2 გვერდიდან „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი მოდელი მოწონებულ იქნა საქართველოს არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სტრუქტურების, მათ შორის, ვენეციის კომისიის მიერ, რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის ახალი წესები შეაფასა, როგორც წინადადებული ნაბიჯი ამ ორგანოს დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში, ხოლო თავად რეფორმაზე განაცხადა,

რომ ის ქართულ კანონმდებლობას ევროპულ სტანდარტებთან აახლოებს. რაც ყველაზე მთავარია, ამ რეფორმას იწონებთ თქვენ და საქართველოს მოსამართლეთა კორპუსი, რომელიც მოუთმენლად ელოდება კანონის დადებით ეფექტს სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის პროცესზე. ეს კანონი უახლოეს მომავალში შევა ძალაში და ამას პრეზიდენტის ვებო ხელს ვერ შეუშლის.“ — წერს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს

თხოვნით მიმართავს, გამჭვირვალედ ჩატაროს მოსამართლეთა კოფერენციის მიერ იუსტიციის წევრების არჩევის პროცესი.

იუსტიციის მინისტრის საჯარო მიმართვის პასუხად, **კონსტანტინე კუბლაშვილმა** ყველა პოლიტიკოსს და განსაკუთრებით იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს მოუწოდა, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე განცხადებები არ გააკეთონ:

„მინდა მათ მოეუწოდო, რომ თავი შე-

იკავონ და არ ჩაერიონ ცვლილებების განხორციელებაში; არ ჩაერიონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოში მოსამართლეთა არჩევის პროცესში. ყველას მოვუწოდებ, რომ უნდა მივცეთ საშუალება ყველა მოსამართლეს, რომ მათ თავად, საკუთარი ინიციატივით დასახელონ კანდიდატები და შემდეგ აირჩიონ ისინი იუსტიციის უმაღლესი საბჭოში; რომ მივცეთ საშუალება, თავისუფალი, დამოუკიდებელი არჩევნების შემდეგ მივიღოთ მართლაც ლეგიტიმური, საბოლოოდ დამოუკიდებელი ახალი

იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“ — განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

გარდა იუსტიციის საბჭოს წევრების უფლებამოსილებისა, პრეზიდენტის „მოტივირებულ შენიშვნების“ კიდევ ერთი თემა ნაფიცი მსაჯულები. ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებზე“ პრეზიდენტის ვებო პარლამენტმა არ დაძლია. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განმარტებით, ეს ნიშნავს, რომ ამ კანონპროექტმა თავისი არსებობა დაასრულა.

ცოხია პაატაშვილი

ზაზა წერეთელი:

„სადაზღვევო სისტემა ჩვენში მხოლოდ ფულის გაკეთების მანქანად აღიქმება“

„პოსტსოციალიზმს“ სადაზღვევო საკითხებზე ესაუბრა ნორვეგიის სამეფოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის უფროსი მრჩეველი ზაზა წერეთელი.

— ბატონო ზაზა, რა ტიპის სადაზღვევო სისტემებია ევროპასა და, საერთოდ, დემოკრატიულ დასავლეთში, რაც ჯანმრთელობის დაცვასთან არის დაკავშირებული?

— უბრალოდ ყოველს, მინდა აღვნიშნო, რომ სადაზღვევო ემყარება ე.წ. სოლიდარობის პრინციპს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, რამდენიმე ადამიანის მიერ დაღებული ფული ხმარდება იმას, ვინც საჭიროებს რაიმე დახმარებას, მიუხედავად იმისა, რამდენი გადაიხდა ამ პიროვნებამ. ანუ, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ამ პიროვნებას და ვეხმარებით.

არსებობს ჯანმრთელობის დაზღვევის ორი ტიპი: სახელმწიფო/საყოველთაო და კერძო. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაზღვევა, ძირითადად, წარმოადგენს სოციალური დაზღვევის ნაწილს და მის საფუძველზე ფინანსდება. მაგალითისთვის მოვიყვანო ესტონეთს, სადაც ამჟამად ვცხოვრობ და ქვეყანას, რომელიც, როგორც ჩვენ, ერთ დროს იყო სსრკ-ის შემადგენლობაში. ესტონეთში ყველა მომუშავე იხდის სოციალურ გადასახადს, რომელიც არის მთელი შემოსავლის 33%, აქედან 20% მიდის საპენსიო დაზღვევაზე, ხოლო 13% ხმარდება ჯანმრთელობის დაზღვევას. ამავდროულად, სახელმწიფო დაზღვევა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიების არსებობას, რომელთაც არ, ან ვერ შეუძლიათ, ჰქონდეთ შემოსავალი და მათი ჯანმრთელობის დაცვა ამ თანხებიდან ხორციელდება. ასეთებია: ორსული ქალბატონები, ყველა პიროვნება 19 წლის ასაკამდე, სტუდენტები და პენსიონერები. სახელმწიფო დაზღვევა ფარავს ოჯახის ექიმის მომსახურებას, გადაუღებელ სამედიცინო დახმარებას, საბავშვო ჰოსპიტალურ მომსახურებას და მედიკამენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰოსპიტალური მომსახურების მიღება (თუკი ეს სასწრაფო-გადაუდებელ დახმარებას არ გულისხმობს), შეუძლებელია საოჯახო ექიმის მიმართვის გარეშე და სამედიცინო დახმარება, რომელიც ვათვალისწინებთ, დაიფაროს სახელმწიფოს მიერ, ასევე გარკვეული სითხე შემოიფარგლება.

ყველაზე ცნობილი სახელმწიფო დაზღვევის სისტემა აქვს გერმანიას. ის ვერ კიდევ ოტო ბისმარკის დროს იქნა შექმნილი და, დაახლოებით, 1883 წლიდან ფუნქციონირებს. დღეისათვის გერმანიაში მოსახლეობის, დაახლოებით, 87%, ამ დაზღვევით არის დაფარული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფულის აღმინისტრირება, ვგულისხმობ სახელმწიფო დაზღვევას, სხვადასხვანაირად შეიძლება განხორციელდეს. ესტონეთში, რომლის მაგალითიც მოვიყვანე, ეს ფონდი კონტროლდება „სახელმწიფო დაზღვევის ფონდით“, საფრანგეთში ეს ხორციელდება ე.წ. არამომგებიანი ფონდის მეშვეობით და ა.შ.

კერძო დაზღვევას პიროვნება მიმართავს მაშინ, თუკი დამპირავებელს არ აქვს საშუალება, შესთავაზოს მას დაზღვევა, ან თუკი ინდივიდს სურს, გააფართოოს იმ სამედიცინო მომსახურების სია, რომელიც, მისი აზრით, მას შეიძლება დასჭირდეს და, რომელიც სახელმწიფო დაზღვევით არ იფარება. კერძო დაზღვევა გაძღვეს ასევე საშუალებას, ამოირჩიო ექიმი ან სამედიცინო დაწესებულება, რაც სახელმწიფო დაზღვევის დროს არ შეიძლება. კერძო დაზღვევა შეიძლება განხორციელო როგორც ინდივიდუალური, ისევე ჯგუფურიც, ანუ ოჯახის წევრებზეც. ცხადია, ამ დამატებითი სერვისისათვის საჭიროა ფული და, შესაბამისად, კერძო დაზღვევისთვის ინდივიდი თავად იხდის ე.წ. „პრემიუმს“, ანუ ყოველწლიურ გადასახადს. ამ პრემიუმის რაოდენობა ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული, დაწყებული ასაკიდან, დამთავრებული პროფესიით თუ დასაფარო მომსახურების არეალით.

— თუ თვალს ადევნებდით, ალბათ, კრიტიკულად იქნებოდა განწყობილი ქართული სადაზღვევო სისტემის მიმართ, რომელიც გვქონდა...

— მართალი გითხრათ, ცოტა ძნელია, იმას, რაც საქართველოში იყო, სადაზღვევო სისტემა უწოდო. ის, რომ კომპანია დააარსო და მას სადაზღვევო უწოდო; ასევე ის, რომ გარკვეული გადასახადები დააწესო და გარკვეული მომსახურების პაკეტები შექმნა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სადაზღვევო სისტემა არსებობს.

სისტემა ნიშნავს, რომ ყველაფერი გათვლილია სამედიცინო შემთხვევის პირველივე წუთიდან ამ მომსახურების დამთავრების ბოლო წუთამდე. სულ უბრალო მაგალითი: იმისათვის, რომ დაზღვევა ამუშავეს, საჭიროა თითოეული სამედიცინო მანიპულაცია გააიწეროს და განფასდეს, იმისათვის, რომ: ა) სადაზღვევო იკოდეს, თუ რისი გადახდა მოუწევს; ბ) ექიმმა იკოდეს, თუ რის მიღებას შეძლებს, და გ) პაციენტმა იკოდეს, თუ რისთვის იხდის ფულს.

თითოეული მანიპულაციის უბრალო შეფასებაც არ არის საკმარისი, რამეთუ შემდგომ უნდა დადგინდეს ის



ზაზა წერეთელი

სტანდარტები, რომელიც ამა თუ იმ მანიპულაციას ნაკრები და რომლებიც გარკვეული დაავადების დროს უნდა განხორციელოს ექიმმა. სწორედ ეს სტანდარტები განსაზღვრავს, თუ რა დაჯდება ამა თუ იმ დაავადების მკურნალობა და, შესაბამისად, რა უნდა იყოს სადაზღვევო პრემიუმი.

ყველაფერი ეს უნდა დადგინდეს და შეთანხმდეს სამედიცინო საზოგადოების და ფინანსისტების აქტიური მონაწილეობით. ეს მხოლოდ მინიმუმი, რაც აუცილებელია განსახორციელებლად. არსებობს კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი იმისათვის, რომ სადაზღვევო სისტემა ამუშავედეს, მაგალითად, არბიტრაჟი, სადაც სადაზღვევო საკითხების განხილვა მოხდება და, რა თქმა უნდა, გამართული სამედიცინო სისტემა.

საქართველოში კი დაარსდა ფირმები, რომლებმაც დადეს კონტრაქტები გარკვეულ სამედიცინო დაწესებულებებთან, ვისაც, მათი აზრით, ჰქონდათ ან კარგი აპარატურა, ან ჰყავდათ ცნობილი ექიმები. მომსახურებას დააღეს მიახლოებით ფასები, ყოველგვარი ზემოთჩამოთვლილი

გათვლების გარეშე იმ პრინციპით, რომ ექიმი დათანხმებულიყო მუშაობაზე, ხოლო სადაზღვევოს კი დარჩენოდა მოგება. აღნიშნული გათვლების საფუძველზე ადგენდნენ იმ გადასახადის რაოდენობას, რომელსაც სთავაზობდნენ მოქალაქეებს.

პრობლემა იყო ისიც, რომ ამ მომსახურების შეთავაზება, ვგულისხმობ სადაზღვევოს მედიცინას, მოხდა ყოველგვარი წინასწარმოსამზადებელი სამუშაოების გარეშე და მოსახლეობას არც კი მიეწოდა ზუსტი ინფორმაცია, თუ რას გულისხმობდა ეს სისტემა. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ იყო უამრავი შემთხვევა უკმაყოფილებისა, როდესაც პაციენტი სამედიცინო დაწესებულებაში ივებდა, რომ ესა თუ ის მომსახურება არ იფარებოდა მისი დაზღვევით. მოსახლეობა აგრეთვე დადგა იმ ფაქტის წინაშე, რომ ის, რაც ადრე მისთვის უფასო იყო, გახდა ფასიანი, თუმცა არანაირი განსხვავება არ იყო იმაში, თუ რას სთავაზობდნენ ადრე და სთავაზობდნენ ახლა.

ამ სისტემის სრული დისკრედიტაცია მოხდა მაშინ, როდესაც „ნაციონალურ-

მა მოძრაობამ“ სრულიად „ფანტასტიური“ ქმედება განახორციელა და მოსახლეობას 5 ლარად დაზღვევა შესთავაზა. ყოველად წარმოდგენილია, რა მომსახურება შეიძლება დაეფარა 5 ლარს. ისიც ყოველად წარმოდგენილია, რომ ამ იდეის ავტორთაგან ვინმეს თუნდაც რაიმე მარტივი გათვლა ჰქონოდა განხორციელებული და დაეფარა, რას სთავაზობდა მოსახლეობას. ერთადერთი მიზეზი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ და პირველი ლედის, ქალბატონი სანდრა რულოვის, რეკლამირება. შედეგად კი მივიღეთ გაწილებული მოსახლეობა, გალანდული ექიმები და ჰაერში გაფანტული ფული.

აქვე მახსენდება წინასაარჩევნო სადაზღვევო მარათონიც და ის წარმოდგენილი ფაქტები, როდესაც მინისტრ ჰიბერაშვილის დავალებით, სამინისტროს წარმომადგენლებმა შაბათ-კვირას საგანგებო მდგომარეობის გრაფიკზე იყვნენ გადასულნი, ახალი ნაციონალური სადაზღვევო „სასწაულის“ განსახორციელებლად, თუმცა გაუგებარი იყო, რა კავშირში იყვნენ სამინისტროს მუშაკები დაზღვეულ პაციენტებთან, ან რატომ უნდა გვეცხადებინა ყოველ საათს, თუ რამდენმა პიროვნებამ მიმართა სამედიცინო დაწესებულებას.

ყოველივე ამის გამო, არ არის გასაკვირი, რომ ჩვენს თვალწინ ბევრი კომპანია გაკოტრდა და ბევრი სამედიცინო დაწესებულება დღესაც იბრძვის გაწეული მომსახურების სავსესთვის მიღებისათვის. არაფერს ვამბობ მოქალაქეებზე, რომლებსაც სრულიად წაუხდათ წარმოდგენა სადაზღვევო სისტემაზე და ის ახლა მხოლოდ ფულის გაკეთების მანქანად აღიქმება.

— ამბობენ, რომ ევროპის ქვეყნებში ბენეფიციარს წელიწადში რამდენჯერმე აკითხავს სადაზღვევო კომპანია და ინტერესდება მისი მდგომარეობით. მირადად, რამდენიმე წელია, დაზღვეული ვარ და არასდროს დაინტერესებულა დაზღვევული ორგანიზაცია ჩემი მდგომარეობით. რას გვეტყობოდა ამას?

— არა, აქ საქმე ცოტა სხვანაირად არის. უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დაეზღვიოთ, ვგულისხმობ კერძო დაზღვევას, თქვენ უნდა გაიაროთ სამედიცინო შემოწმება. სადაზღვევო კომპანიამ უნდა იცოდეს, თუ ვისთან აქვს საქმე, რომ იმისდა მიხედვით შემოგთავაზოთ მომსახურების პაკეტი. მაგალითად, თუკი თქვენ გაწუხებთ გული ან კუჭი, სადაზღვევო სისტემამ იცის, რომ რისკი იმისა, რომ ამ დარგის სპეციალისტებს უფრო ხშირად მიმართავთ, გაიზრდება და, შესაბამისად, მასაც მეტი დანახარჯი ექნება.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

დავითაშვილმა ქუთაისელებში ადამიანები კი არა, „ნაციონალები“ შენიშნა...

პარლამენტის წინ „საინცივტივიო ჯგუფმა“ აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ქუთაისისთვის საპარლამენტო ქალაქის სტატუსის შენარჩუნებას ითხოვდნენ. პროტესტანტების მთავარი სლოგანი იყო: „ნუ წამართმევ პარლამენტს!“

„ჩვენ აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანები ვართ. წინააღმდეგები ვართ, რომ პარლამენტი გადავიდეს ქუთაისში. ჩვენ აუცილებლად გავფართოვებთ და დავიცავთ პარლამენტს ქუთაისში.“ — აღნიშნა ელისო კეთილაძემ, აქციის ორგანიზატორმა.

მშვილობიან აქციაზე სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც პარლამენტთან უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი გამოჩნდა. აქციის მონაწილეებმა

დავითაშვილის გამოჩენაზე სკანდირება დაიწყეს: „ჟირინოვსკი, ჟირინოვსკი“. დეპუტატმა კი შეკრებილებს საპასუხოდ შემდეგნაირად მიმართა: „თქვენ ადამიანები კი არა, „ნაციონალები“ ხართ.“

დავითაშვილი ასევე შეეცადა, აქციის მონაწილეებისთვის აეხსნა, რომ საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ, შესაძლებელია, პარლამენტი თბილისსა და ქუთაისშიც იმოქმედოს. თუმცა, რამდენიმე რეპლიკის შემდეგ აქცია სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. „ბატონ კობას მივმართავ, რომ შეწყვიტოს მსგავსი ტიპის პროვოკაციები. ჩვენ ვართ აბსოლუტურად მშვიდობიანი მოქალაქეები. ისწავლოს მოქალაქეებთან ურთიერთობა,

მათი მოსმენა და ნუ გადმოდის აგრესიაზე. ჩვენ არ ავყვებით პროვოკაციას. კატეგორიულად ვეწინააღმდეგებთ რაიმე ექსცესს აქციაზე.“ — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ განიმუხტა, რაც დავითაშვილმა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დატოვა.

აქცია წინა დღით, 30 აპრილს სოციალურ ქსელ facebook-ის საშუალებით იყო დაანონსებული. ორგანიზატორები გეგმავენ, რომ აქციები პერმანენტულად გამართონ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსთან. მათი თქმით, პროტესტს იმ დრომდე არ შეწყვეტენ, ვიდრე ქუთაისში პარლამენტი არ დატოვებენ.

ნათია ბატარაძე psnews.ge

Advertisement for Mega Credit bank. Title: მეგა კრედიტი. Logo: Mega Credit. Text: გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას: უჯარიმო, სალომბარლო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან; იპოთეკური სესხები; ფულადი გზავნილები; სავალუტო ოპერაციები. ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი. „მეგა კრედიტის“ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით. ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45 ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკლონალდსთან“); (0 431) 27 67 10

საქართველოსთვის მონაბეხრივად აღსრულებული აფხაზი

დღეს ჩემი აფხაზეთი დანაღმული ველია. ძმათა შორის ჩატყვილი საუკუნეებგამოვლილი, მორღობის წმინდა ადათით შედუღებული ხილი. 22 წელია, რაც არ გაუხარია უძველეს ქართულ მიწაწყალზე ორ ძმას, არ გაუზიარებია საერთო ტყვილი. დამღურებულან, თითქოს გაუცხოებულან მტრები ყოფილიყვენ. გაუცხოებულან მესამე არამკითხის მეოხებით.



იური (გიორგი) ანუა

არადა, გუშინ ვიყავით ერთად, აფხაზეთის ლაყვარლოვანი ცის ქვეშ ერთნაირად ბედნიერები და უბედურები. აქი თავად უკანასკნელი მთავრის ძე, გიორგი შერვაშიძე წერდა, უაფხაზეთო საქართველო და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოიდგენიაო. ვაგლახ, ორივენი ვერ ჩავწვდით დედით ქართველი სვეტ-წულის ამ გენიალურ სიტყვებს. თითქოს გვარიგებდა, რომ ჩვენი გახლენა შეუძლებელია, წარმოუდგენელია. აბა, რას იფიქრებდა, რომ ერთი დედის ორი უძლები შეილი, საუკუნეებგამოვლილი მშობას ტყვის დადუშენდით, სისხლის ტბორები დადგებოდა ქალაქებსა თუ სოფლებში, დედამიწის ხილულ სამითხეს ჯოჯობითად ვაქცევდით, ტანკის მუსლუხობი გადათქმავდნენ მორღობის ძირძველ ადათს, ერთად იგლოვდნენ ქართველი და აფხაზი დედები განწირულ შვილებს, სამშობლოს

სიყვარულში შეცილებულთ. „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელი...“ დიახ, ამ კუთხეებზე ბევრი შესანიშნავი აფხაზი ვაქცავი აჩუქა დედა საქართველოს, მათ ყოველთვის სწამდათ: „აფხაზს არ ჰყავს ქართველზე ახოვბელი და ქართველს აფხაზზე“. ასეთები იყვენ: არზაყან ემხვარი, ბორის ადლები, ლორიკ მარშანია, რაულ ეშბა, ენვერ კაბა, იური ანუა... იური ანუა, კაცი რომელზეც ცოტა რამ იცის, სამწუხაროდ, დღეს საქართველომ. მან თავისი მოწამებრივი

აღსასრულით ორივე მხარეს დაუტოვა საფიქრალი, სამარადყოფამო სინანული იმ უგვანო საქციელის გამო, რაც ერთმანეთის მიმართ ჩავიდინეთ. იური ანუამ ფასდაუღებელი საჩუქარი უბოძა სამშობლოს.

აფხაზეთი, როგორც მოგვსენებდათ, თავად წმინდა მოციქულმა სვიმონ კანანელმა მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. სოფელ კომანში კი მესამედ იბოგეს წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავი, აღესრულა ქრისტიანობის მნათობი წმინდა იოანე ოქრობირი და მოწამებრივად განვიდა ამ სოფლიდან წმინდა ვასილისკო.

1988-1990 წლებში იური ანუამ ამავე სოფელში არსებული, ნგრევისპირის მისული, იოანე ოქრობირის სახელობის ტაძარი საკეთთარის სახსრებით აღადგინა. 1990 წლის 25 ნოემბერს წმ. იოანე ოქრობირის სასწაულომქმელი ქვის სარკოფაგი სოხუმის საკათედრო ტაძრიდან კომანის განახლებულ ეკლესიაში დააბრუნეს. ტაძარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საღვთსაწაულო წირვა აღავლინა. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ იური (გიორგი) ანუას, გაწუთი უღელსი ღვაწლისათვის, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ბირველი ხარისხის ორდენი გადასცა.

კომანის მთებში, წმ. იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნის ადგილამდე მისვლის გასაადვილებლად, იური 1500 საფეხურიანი რკინის კიბე აღმართა. ყოველი 100 საფეხურის შემდეგ გაკეთებული იყო სკამი მომლოცველთა დასასვენებლად. მორწმუნენი ყოველი წლის 7 ივლისს აღიოდნენ ამ მთაზე. ადგილობრივი კომუნისტური პარტიის აქტივისტებმა წმინდა მოწამე ვასილისკოს სასწაულომქმელ წყაროსთან საკალმაზე მუტუნეობის მოწყობა გადაწყვიტეს. ჰექტარამდე მიწა გათხარეს და უზარმაზარი რეზერვუარი ააშენეს. შემდეგ, რატომღაც, თევზის გაშენება არ მოხერხდა და წლების განმავლობაში ეს აუზი დაყაყუბდა და ქვეწარმავლის ბუდედ იქცა. იური გაასუფთავა წმინდა წყალი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ეს უზარმაზარი აუზი ისევე მიწით ამოვსდა და იქნა რაბატი გააშენდა. წმინდა წყაროს კოლოსალური სულიერი და სამკურნალო ძალა აქვს. იური (გიორგი) ანუას წმინდა წყაროზე მცირე ბაზილიკის ტიპის ეკლესიის აშენება ჰქონდა განზრახული, ასევე — წმინდა ილია წინასწარმეტყველისა და წმინდა ვასილისკოს საფლავთან ტაძრების აღდგენა, ხოლო წმინდა იოანე ნათლისმცემლის მთაზე სალოცავის გაკეთება სურდა. ყოველივე ამის გაკეთება

არ აღსცალდა. 1993 წლის 5 ივლისს, დილის 5 საათზე, ეშერის მხრიდან, კომანზე შემოტევა განახორციელა გენერალ ლეხეიძის საშტურმო-სადესანტო ბატალიონმა. მათ შეუერთდა ეშერის ბატალიონი, რომელიც, ძირითადად, ნარკოტიკებით ვაბაზებული ახალგაზრდებისგან შედგებოდა.

მტრის წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი, მცირერიცხოვანი მებრძოლთა ჯგუფი, რომლებმაც სიცოცხლის ბოლომდე გმირულად იბრძოლეს.

მტერი კომანის დაპყრობის შემდეგ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას მიიღო. მათ ტაძრიდან გაიყვანეს მამა ანდრია (ერისკაცობაში პაატა სურამში) და იური (გიორგი) ანუა. მონასტერში მყოფი ანუას ოჯახმა მეორე დღეს შეიტყო, თუ როგორ დახვრიტეს მამა ანდრია, ხოლო იური (გიორგი) ანუას აღუპეზა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, თბილისში გახდა მათთვის ცნობილი.

დღეს მოწამებრივად აღსრულებული აფხაზი კაცის — იური (გიორგი) ანუას ახლოებულნი ნათლისმცემლისა და იური (გიორგი) ანუას საფლავთან ტაძრების აღდგენა, ხოლო წმინდა იოანე ნათლისმცემლის მთაზე სალოცავის გაკეთება სურდა. ყოველივე ამის გაკეთება

თამარი ზუზუბია

ზაზა წერეთელი: „სადაზღვევო სისტემა ჩვენში მხოლოდ ფულის გაკეთების პენქანად აღიქმება“

მე-4 გვერდიდან

ცხადია, კომპანია მაშინვე გათავაზობთ ისეთ პაკეტს, სადაც ეს რისკები გათვალისწინებულია, მაგრამ იგი ცოტა უფრო ძვირი დაიკრება, ვიდრე იმ შემთხვევაში, სრულიად ჰანსატელი რომ ყოფილიყო. ასეთივე ცვლილება ფასში შეიძლება გამოაწვიოს სივარტის და ალოკოპოლის აქტიური მიღება, ან, მაგალითად, წინაპრებში გარკვეული დაავადების არსებობა. განსხვავება გადასახადებში მამაკაცსა და ქალს შორის (თუნდაც ერთი და იგივე ასაკის).
ცხადია, როდესაც თქვენ ამა თუ იმ მიზეზით მიმართავთ ექიმს, ეს მაშინვე დიქსირდება და სადაზღვევო კომპანიამაც იციან, თუ როგორ მდგომარეობაშია თქვენი ჯანმრთელობა და მის მომავალ მომსახურებასაც ამის მიხედვით განსაზღვრავს. ამიტომაც არის განსხვავებები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რაც უფრო შედინარეობს, მით უფრო მეტია გადასახადი, რადგან ალბათობა ჯანმრთელობის გაუარესებისა იზრდება.
სამედიცინო მომსახურება მუდმივ კავშირშია სადაზღვევო სისტემასთან, რამეთუ მისი დაფინანსება ამ სისტემის მეშვეობით ხდება. შეუძლებელია, თქვენ, როგორც ქვეყნის მოქალაქემ, მიიღოთ სამედიცინო მომსახურება ისე, რომ სადაზღვევო სისტემას ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდეს. ამიტომ, სადაზღვევის არ სჭირდება თქვენს მონახულებას. თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა — ეს ჯანდაცვის სისტემის ამოცანაა, მაგრამ თუკი სადაზღვევო ხელახტავ, რომ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა გარკვეულწილად უარესდება, ის გათავაზობთ მომსახურების პაკეტის გადახედვას ისე, რომ არც თვითონ იყოს წაყვანად და არც თქვენ იყოთ უკმაყოფილო. სადაზღვევო სისტემა ბიზნესია და ის უკავშირდება ფულს, ამიტომაც მისი ეს ქმედება არ არის გასაკვირი.
საქართველოში, სამწუხაროდ, ვერ კიდევ შეიძლება სამედიცინო დახმარება ისე მიიღო, რომ სადაზღვევო სისტემამ ამის შესახებ არაფერი იცოდეს, ასევე მდელიკანტების შექმნაც. შესაბამისად, როგორც უკვე წინა კითხვაში ვიპასუხეთ, შეუძლებელია, ვისაუბროთ ჩვენთან სადაზღვევო სისტემის არსებობაზე.
ერთდღერთი, როდესაც სადაზღვევოს წარმომადგენელმა შეიძლება თქვენ მოგაკითხონ და თქვენი მდგომარეობით დაინტერესდეს, შეიძლება მოხდეს მაშინ, თუკი მას ევტი დაუბადება თქვენს მიერ დაზღვევამდე მიწოდებული ინფორ-

მაციის სისწორეში. შესაძლებელია, თქვენ დაუბალით, ან არ იცოდეთ გარკვეული დაავადება და სამედიცინო მომსახურების დროს ეს ფაქტი გამოგივლინდება. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანია დაინტერესდება, თუ რატომ მოხდა ეს და ამისა და მიხედვით მიიღოს ზომები (თქვენ თავად მოგიწიოთ ამ მომსახურების საფასურის გადახდა, ან საერთოდ გათქმონ დაზღვევა).
— საქართველოში ახლა დაიწყო საყოველთაო დაზღვევა, რასაც არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა. თქვენი აზრით, საქართველოს ჯანდაცვის ბიუჯეტი, რომელიც ორჯერ გაიზარდა წინა წელთან შედარებით, შეძლებს სრულყოფილი პაკეტის მიწოდებას მომხმარებელსათვის?
— ჩემთვის ცოტა ძნელია ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა, რადგან არ ვიცი, თუ რამდენია ახლანდელი ბიუჯეტი და რამდენი იქნება გაზარდის შემდეგ. ჩემთვის ისიც უცნობია, თუ მთლიანი შიდა პროდუქტის რამდენი პროცენტით მიიღოს საქართველოში ჯანდაცვის ბიუჯეტი. მაგალითისათვის გეტყვით, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ეს ციფრი მერყეობს 9-დან 15 პროცენტამდე. ამიტომ, როგორც აღვნიშნე, ასე პირდაპირ ვერ გეტყვით, რა იქნება ამ ბიუჯეტის გაზარდის შედეგი.
ამვე დროს, გითხრათ ის, რომ სრულყოფილი პაკეტის მიწოდება მოხდება ასე მცირე დროში, ცოტა საეჭვოა. დავაზუსტებ ჩემს პასუხს: უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, განვმარტოთ, თუ რას ვფიქროსნობთ სრულყოფილ პაკეტში. რა მომსახურებას და რა დაავადებებს შეიცავს ეს პაკეტი. შეიძლება ვინმესთვის სრულყოფილი იყოს მხოლოდ 1 ან 2 ვიზიტის დაფინანსება და მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის მომსახურების დაფარვა. ზოგიერთისთვის კი სრულყოფილი იქნება პაკეტი, თუკი ის სტომატოლოგიური მომსახურების ფართო სპექტრსა და ესთეტიური მედიცინის მომსახურებასაც შეიცავს. ეს პირველი მიზეზი ჩემი ეჭვებისა.
მეორეც, სადაზღვევო სისტემა ძალზე სტრატეგიულად და დეტალურ გათვლებს ეფუძნება. მართალია გითხრათ, არ მსმენია ასეთი გათვლების შესახებ. აქვე დაძვენ, მიუხედავად იმისა, რომ არ ვცხოვრობ საქართველოში, მაქვს კონტაქტები ჩემს კოლეგებთან და ამაზე დაყრდნობით ვამბობ ამას. შესაბამისად, ასეთი გათვლების არარსებობის გარეშე, წარმოუდგენელია, მხოლოდ თანხების რაოდენობის გაზრდით მოხდეს სადაზ-

ღვევო მომსახურების გაუმჯობესება. კი, ცხადია, რომ ფინანსების გაუმჯობესება მოგვეცემს საშუალებას, გავზარდოთ მის მიერ დაფარული ქმედებების არეალი, მაგრამ, როცა ჩვენთვის უცნობია, თუ ზუსტად რამდენია საჭირო ამა თუ იმ არეალის დასაფარად, ცოტა ძნელი ხდება საბოლოო შედეგის გათვლა.
ჯერ კიდევ არ არსებობს ზუსტად გაწერილი და სამედიცინო საზოგადოებასთან შეთანხმებული სია, თუ რომელი დაავადება რომელ პროცედურას შეიცავს (მისი მკურნალობისას) და, შესაბამისად, რომელი პროცედურის დაფინანსება ხორციელდება საყოველთაო დაზღვევით. სულ ახლახან საუბარი მქონდა ჩემს ერთ კოლეგასთან საქართველოში, მეტად ცნობილი ქირურგია. მისი უმეცხე იფილება იმითი იყო გამოწვეული, რომ სწორედ ამ დიალოგის და შეთანხმების არარსებობის გამო, საყუალაპავიდან სისხლდენა არ ითვლება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენად და, შესაბამისად, არ ფინანსდება, ან თუ ჩაჭედვოდა თათქარმა ნაწლავი არ დაანერგოზა (რაც უკვე ცუდი გამოსავალია) — მისი მკურნალობა არ ფინანსდება. ადვილი მისახვედრია, ასეთი პრობლემები ვერ შეუწყობს ხელს საყოველთაო დაზღვევის წარმატებულად განხორციელებას.
მართალია რომ გითხრათ, „მოქარებს მოუგვიანდესო“ პრინციპის მეშინია და თქვენი ეს შეკითხვა ასე აღვიქვი. კი, გასაგებია, რომ სახელმწიფოს სურს, გააუმჯობესოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო მისახლეობას სურს, ეს, რაც შეიძლება, სწრაფად მოხდეს, მაგრამ ამის ასე სწრაფად და გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე ვერ გააკეთებ. სამწუხაროდ, ამ მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ ვერ არ მსმენია და, თუკი რამ არის ჩატარებული, ხშირად ნაჩქარევი და ნაუცბათევი ქმედების სახეს ტოვებს.
ამის დამდასტურებლად კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან და აქ შეგჩერდები, რომ თქვენი მკითხველი არ დავალო. ალბათ, ბოლო დროს ყველას გვესმოდა წითელას შემთხვევების მომენტების შესახებ. ეს გარკვეულწილად იმუნოზაციის პროგრამაში (რომელიც ასევე სადაზღვევო სისტემაში ჩასვენს) არსებული პრობლემებით იყო გამოწვეული. ჩემი კარიერის დასაწყისში საქართველოში სწორედ ამ საკითხებზე ვმუშაობდი და მახსოვს, რა დიდი წარმატებები იქნა მიღწეული, მიუხედავად იმ დროს ქვეყანაში არსებული პრობლემებისა. ახლა

კი ბავშვებს აზღვევენ და წერენ დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ანუ დედა თუ ჩაწერილია თბილისში, ბავშვმაც იქ უნდა მიიღოს მომსახურება. ტერიტორიული პრინციპი არ არსებობს და ასაკობრივად უნდა ჩახვიდე იქ, სადაც ჩაწერილი ხარ, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო დაზღვევა გაქვს და აცრაზე უარი ვერ უნდა გითხრან. აი, კიდევ მეორე პრობლემა, რომელიც იწვევს სადაზღვევო სისტემისადმი უკმაყოფილებას და, რაც მთავარია, იმუნოზაციის დონის შემცირებას.
სანამ არ მოხდება მეტად ზუსტი და მაღალპროფესიული გათვლების ჩატარება, სანამ იურიდიული და ფინანსური ბერკეტები ისეთი არ გახდება, რომ მათ ხელი შეუწყოს სადაზღვევო სისტემის განვითარებას და გაძლიერებას, მანამდე ცოტა ძნელია, მხოლოდ ბიუჯეტის გაზარდის ხარჯზე იფიქრო საყოველთაო სადაზღვევო სისტემის წარმატებულ განხორციელებას.
— თქვენი აზრით, რატომ არის საქართველოში სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის დაფა მედიკოსები ჩივიან, რომ სადაზღვევო კომპანიები არ იხდიან დროულად სახელფასს და უფასოდ უშვებენ მუშაობას?
— ამ კითხვაზე უკვე გავცი პასუხი. ხელფასურად წარმოქმნილი ერთეულები ვერასდროს იმუშავენ პრობლემების გარეშე.
სადაზღვევო კომპანიებმა ისე გააკეთეს გათვლები, რომ არ ჰქონიათ მჭიდრო კონტაქტი სამედიცინო თუ ფინანსური სფეროს ფართო სპექტრთან. მათი მთავარი ამოცანა იყო მოგება, რაც გასაგებია, რადგან დაზღვევა ბიზნესის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, მაგრამ წებისმიერი ბიზნესი იმისათვის, რომ წარმატებული იყოს, ვერ უზარის სწავლობს დაკვირვებით და მხოლოდ შემდეგ იწყებს თავის მოღვაწეობას.
ბევრი სამედიცინო დაწესებულება იმიტომ დათანხმდა სადაზღვევო კომპანიებთან მუშაობას, იმედი ჰქონდა, რომ ეს მათ შემოსავლებს გაზარდდა და ექიმები, რომლებიც მუდმივად უჩივიან ხელფასების ნაკლებობას (რაც მეტად სამწუხარო ფაქტია), უფრო კმაყოფილი იქნებოდნენ თავიანთი ანაზღაურებით. მაგრამ შემდგომ გამოიჩინა, რომ ყველაფერი ასე ადვილი და მარტივი არ იყო.
რაც მთავარია, ამ ორი სუბიექტის მოლაპარაკებებში (გულისხმობს სადაზღვევო და სამედიცინო სფეროებს) მათ სულ

დაივიწყეს, რომ მთავარი საზრუნავი პაციენტია და თუკი ის უკმაყოფილოა და ალარ იყდის მათ მომსახურებას, ორივე წაგებაში დარჩები.
თქვენს კითხვაში მეორე პრობლემაც არის ნახსენები, რომელიც ასევე აღრე აღვნიშნე. არ არის შექმნილი სპეციალური სტრუქტურა, რომელიც გარჩევს დავას სადაზღვევოებსა და ექიმებს შორის და რომც იყოს შექმნილი და გარჩიოს ეს დავები, იმდენად ზოგადია და გაუწერელი არსებული ხელშეკრულებები, რომ დავის გამჩრეცაც გაუჭირდება მტყუნ-მართლის დადგენა. შესაბამისად, ქირურგმა შეიძლება წარმატებით უმკურნალოს პაციენტს საყალბავი წყულუხე, მაგრამ ვერა-ნაირი გასამრჯელო ვერ მიიღოს იმის გამო, რომ საყალბავიდან სისხლდენა არ ითვლება კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენად, თუმცა საყალბავი კუჭ-ნაწლავის სისტემას მიეკუთვნება. პაციენტმა კი იცის, რომ დაზღვეულია და არ აპირებს გადახდის. აი, ასე, წერე ვივითი იმის დასადაგენად, თუ ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუნანი.
ბოლოს ერთ რამეს დავსქენ. სადაზღვევო სისტემამ შეუძლებელია იფუნქციონიროს, თუკი სამედიცინო სისტემა არ ფუნქციონირებს. სააკაშვილი კი მოახერხა, რომ 9 წელიწადში, თავის გუნდის დახმარებით, მთლიანად გაენადგურებინა სამედიცინო სისტემა. სხვადასხვა მოდელის ბრმა კოპირება ქართული რეალობის გათვალისწინებულად მხოლოდ იმისათვის, რომ უცხოელეთთან მოეწონებინა თავი, გაუმართლებელი კრიტიკა და პირდაპირი ნადირობა ექიმებზე და კატასტროფულად უცოდინარი მინისტრები — აი, სულ მცირე ჩამონათვალი იმ მძიმე დარტყმებისა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ მიაყენა ქართულ მედიცინას.
ერთდღერთი იმედი ახლა იმაზეა, რომ ვერ კიდევ დარჩნენ მოაზროვნე და პროფესიონალი ექიმები საქართველოში და ის, რომ სახელმწიფო ხდება ახლა და პრიორიტეტად გამოაქვს სოციალური სფერო (რაც ჯანდაცვასაც მოიცავს). იმედი, დაღვანდელი ხელისუფლება უარს იტყვის ნაჩქარევი და გაუზარებელი ნაბიჯების გადადგმის პრაქტიკაზე, დაეკითხება პროფესიონალებს და მიხედება, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ღირებულ არაფერი არსებობს ამ ქვეყნად და მის ხელშეწყობაზე ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

როლიანდ ხოჯანაშვილი

„მე შემიყვარდა ეს აღაღიანებო“

საზოგადოებას, ფსიქიკურად დაავადებულ პირებსა და სახელმწიფოს შორის არსებული ხიდრატცილობის პრობლემა უნდა დავძლიოთ

ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის 35-წლიანი ისტორია აქვს. მასშტაბურობის და რეფორმების თვალსაზრისით, იგი საქართველოში ერთადერთი დაწესებულებაა, რომელიც 700 პაციენტზეა გათვლილი. ამ დროისათვის ცენტრში 450-მდე თანამშრომელი მუშაობს, მკურნალობა-რეაბილიტაციის კურსს კი 600 ბენეფიციარი გადის.

„რვა წელია, რაც ცენტრში ფსიქიატრიული სამედიცინო მოდელის მკურნალობას ჩაეყარა საფუძველი, რაც გულისხმობს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდებით, ხელოვნებით თერაპიების მიმდინარეობებით პაციენტთა მკურნალობას, — განაცხადა გავით „PS“-თან საუბრისას ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ცირა შვანგირაძემ. კომპლექსები, რაც აქვს ჩვეულებრივ საზოგადოებას ფსიქიკური დაავადებულების მქონე ადამიანთა მიმართებით, უნდა დაიშინოს და ამ ადამიანებმა თავი უნდა დააღწიონ იზოლაციას, რაშიც მთელი ხნის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრება. ცენტრის მედიკოსები ცდილობენ, ამ ადამიანებს სოციალური ფუნქცია მიენიჭონ. როდესაც საზოგადოებაში ვაღიან, ეს კომპლექსი ირრვევა და, ფაქტობრივად, ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობაც შეუძლიათ. თეატრალური წარმოდგენა, რასაც ესენი დგამენ, არის ნატურალური, ყოველგვარი მსახიობური ოსტატობის გარეშე შესრულებული, სიყალბის გარეშე... რაღაც ბუნებრივად მოდის ეს ყველაფერი, მათი შრომის შედეგია: უხარიათ ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობა, უხარიათ ის, რომ ტანს უკრავენ და ყვავილებს მიაბრთხევენ. ადამიანები უნდა მიხედნენ — ეს მკურ-

ნალობა, რასაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აწარმოებს, ემსახურება რეაბილიტაციას და იმის ჩვენებას, რომ ამ ადამიანებსაც აქვთ რაღაც ფუნქცია ცხოვრებაში და მათაც გააჩნიათ ღირებულებები. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა ნახოს ეს ყველაფერი.“ აღნიშნული მკურნალობის შედეგებს, როგორც საკუთარი შრომის პროდუქტის, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები იმ მიზეზით აჩვენებენ საზოგადოებას, რომ მათ შორის არსებული განსხვავება დაიშინა. სწორედ ამ დღეის ღონისძიებას მართავენ ბენეფიციარები, რომლებიც ფართო საზოგადოების წინაშე პირველად ხონის კულტურის სახლში წარსდგნენ, შემდეგ კი გასცდნენ რაიონის მასშტაბებს და ერთი ლამაზი დღე ქუთაისის ბალანჩაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრში მისულ საზოგადოებასაც აჩუქეს 26 აპრილს. „ჩვენ ვაღიანებთ განსხვავებულებს, აღიარებთ თქვენც“ — ეს იყო ღონისძიების დევიზი. თუმცა ღონისძიების დასრულების შემდეგ, თეატრში მისულთაგან ვერაფერს ვერაფერად, რა განსხვავება არსებობდა მათსა და საზოგადოების იმ კონკრეტულ ნაწილს შორის. ღონისძიების მიზანიც ხომ საზოგადოებაში არსებული სტიგმის დამარცხება იყო. თეატრში მისულმა საზოგადოებამ

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბენეფიციართა მიერ საოცარი ინტერპრეტაციით შესრულებული ნახატები, თიხის ნივთები და ნაჭრის თოჯინები დაათვალიერა. თითოეულ ნამუშევარში ავტორთა უსაზღვრო ნიჭიერება იგრძნობოდა. ნამუშევრებმა დამთვალიერებელთა გაცემა გამოიწვია, ღონისძიების კულმინაცია კი იყო ბენეფიციართა მიერ უზაღოდ შესრულებული თეატრალური წარმოდგენა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ასევე მათ მიერ წაკითხული საკუთარი ლექსები და გაუღებელი ქართული პანგები, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი გოჩა ბაკურაძე: „ეს ადამიანები, რომლებიც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გადიან მკურნალობას, არაფრით განსხვავდებიან იმ საზოგადოებისგან, სადაც მათ უწყვეტად ცხოვრობენ. ამით კიდევ ერთხელ გვინდა ყველას დავუმტკიცოთ, რომ ჩვენი ბენეფიციარები საზოგადოების სრულყოფილებიან წევრები არიან და მათაც ძალუძთ თავიანთი ნიჭიერების და ადამიანური გრძნობების თუ უნარების ჩვენება ფართო საზოგადოებისათვის.“

ის ურთიერთობა, რაც საზოგადოებას ამ ბენეფიციარების მიმართ ჰქონდათ, ნამდვილად არაა ჯანსაღი, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა საზოგადოებაზე არ მოდის და მართლაც ის არაა დამნაშავე, ვინაიდან აქამდე არ ხდებოდა ფსიქიკური დაავადებულების მქონე პირთა რეინტეგრაცია. ადამიანები ვერ ხედავდნენ



„PS“-ს ცენტრში (ნახატები რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში)

მათ შესაძლებლობებს, მათ სიყვარულს და, რაც მთავარია, მათ პიროვნებას — იმ დაშტამპული სახელმწიფო მექანიზმის გამო, რაც ქვეყანაში არსებობდა და არსებობს, იშვიათი გამოჩენისის გარდა. იზოლირებულად მყოფი პირები, რომლებიც გარედან ერთი შეხედვითაც არასახარბილო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ყოველთვის არაჯანსაღ დამოკიდებულებას იწვევდნენ საზოგადოებაში.

სახელმწიფო ყოველთვის გაუბრუნდა ისეთ პროგრამებს, რაც საზოგადოებას და დაავადებულ ადამიანებს ერთურთთან რეინტეგრაციის საშუალებას მისცემდა. ამის საპირისპიროდ პრობლემასთან ბრძოლას სახელმწიფო ჩაკეტილი კარით ცდილობდა, რამაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოსა და ჩვეულებრივ ცხოვრებას შორის ხიდრატცილობის პრობლემა წარმოიშვა. ჩვეულებრივი ადამიანები ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტებს, როგორც იშვიათი ჯიშის ცხოველებს, ისე აღიქვამდნენო,

— აღნიშნა კიდევ თავისი გამოცდილებით სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორმა, — სურამში ჩასული დამსვენებლები საავადმყოფოს კართან იკრიბებოდნენ და, მომღიმარი სახით, ბენეფიციარების დათვალიერებას ითხოვდნენ... ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროექტი კარგი სიგნალი და წინ გადადგმული ნაბიჯია საზოგადოების გამოფხიზლებისაკენ, რათა „აღიარონ განსხვავებულები და მათი უფლებები.“

„მე შემიყვარდა ეს ადამიანები“, „ისინი ჩვენი საზოგადოების ნაწილი არიან“, „მე მრცხვენია იმ დამოკიდებულების, რაც მათ მიმართ მქონდა“, „ნამდვილად უნდა შევცვალოთ ურთიერთობა ჩვენი შორის...“ — აღნიშნავდნენ თეატრში მისულ მოქალაქეები, რომლებიც თავიანთ სიყვარულს უწყვეტი აპლოდისმენტით გამოხატავდნენ.

ნახატები რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში

განსხვავება

ნათელი კახი

ნუგზარ მჭედლიშვილის ხსოვნას

მადლობას ვუხდით გავით „PS“-ის რედაქციას, რომელმაც საშუალება მომიცა, მოვეხვედრო, გავიხსენო, მარადიულობა ვუთხრა მის სულს, სახელს — ჩემს მამას, მეგობარს ნუგზარ მჭედლიშვილს. განცდა, რომელიც ჩემს ოჯახში სუფევს, მოულოდნელად მოვიდა, შესაბამისად, გონიერება სჭირდება მის მართვას, და აქ ვარ მე, როდესაც ამ წეროლს ვწერ.

მადლიერი მადლობა მინდა გადავუხადო ნუგზარ მჭედლიშვილის მეუღლეს, ქალბატონ მზია სვანიძეს (ჩემს დედას), რომელიც წარბეზებულად, სულიერი სისუფთავით, თავისი უბრალოებით გვერდით ედგა მის მეუღლეს და დღეს ოჯახის მდგომარეობას მართალი სიტყვით მართავს. მადლიერი მადლობა მინდა ვუთხრა ნუგზარ მჭედლიშვილის ქალიშვილს ეკატერინე მჭედლიშვილს (ჩემს დას), რადგან მან საამაურო შეილობა აჩუქა მშობლებს. ძალიან მსიამოვნებს ჩემი ბედის, რომ ეკა ჩემი დედამამიშვილია. მადლიერი მადლობა ჩემს მეუღლეს — ხათუნა ჩხაიძეს. დღეს ხათუნა მეორე შეილის მომლოდინეა. მადლობა უფალოს, მადლობა მას.

... მამა დაიბადა 1949 წლის 18 იანვარს, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში. იმის დასამტკიცებლად, რომ მის სოფელში „სხვა, მეტად სუფთა ჰაერი“ ჰქონდა, როდესაც ოჯახით სოფელში მივიდოდით, მანქანას აუცილებლად გააჩერებდა საირხის ბოლოსა და ჭორვილის დასაწყისში, ღრმად უნდა გვესუნებოდა, რომ გვეღიარებინა ეს ჭეშმარიტება. მადლობა მას ამისათვის.

თავისი ბავშვობის გახსენებას რომ იწყებდა, აუცილებლად მესიყვრებოდა დავარჩებოდა მისი წრფელი, ღიმილიანი, მშვიდი სახე. შესაბამისად, ყველა წვრილმანს გადმოსცემდა პასუხისმგებლობით, დიდი სიყვარულით. მამა ამბობდა, რომ სოფელ ჭორვილაში აღზრდით მან საჩუქრად მიიღო შრომისმოყვარეობა, პიროვნული ღირსეუბები. ამ სოფელში დაიბადა აწვარდაცვლილი ცნობილი არქეოლოგი ჯურზა ნადირაძე, პროფესორი ასანა ნადირაძე, სოფელ ჭორვილის სიმდიდრეა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც წმინდა გიორგის ძალისხმევით (წმ. გიორგის სახელობის სალოცავი ჩემს სოფელშია) შექმნა და ქართველ ხალხს უთხრა სიმართლე.

მამამ საირხის საშუალო სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე. ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის დირექტორობის დროს მივლინებით პარიზში იყო. უკან დაბრუნებული, იუმორით იხსენებდა, რომ სკოლაში ნაწილად ფრანგულად ერთი ფრანგი ჯერ გაიკვირა და მერე დაიმეგობრა. მის ადამიანურ სისუფთავზე მეტყველებს ის, რომ იგი 27 ოჯახის ნათლია იყო. უთამადა ათეულობით ოჯახის ღზინისა თუ მუშუარების აღმზრდელ სუფრას



და, არ ვაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ იგი ამ მოვალეობას ასრულებდა დიდი პასუხისმგებლობით, სიყვარულით. აღნიშნავდა, რომ თამაობა — ეს არის ნდობა, რომელიც ოჯახმა გამოვიცხადა.

მამა მეგობრობდა მუსრან მაჭავარიანთან, კოტე მახარაძესთან, სოფიკო ჭიკაბერიძესთან, მედეა ძიძგურთან... ვრცელა ეს სია. თითქმის ყველა აღიარებული სპორტსმენისაგან აქვს აღებული ინტერვიუ და პირადად ყველასთან მეგობრობდა. შემდგომ ეს ინტერვიუები მან თავის სამ წიგნში მოათავსა. პოეზიის უზომოდ მოყვარული იყო, ზეპირად კითხულობდა თითქმის 500-მდე ლექსს. ასეთი ენერგიით დაჯილდოვდა მამა უფალომ და მადლობას ვუხდით მას, რომ ეს ენერგია ნამდვილად დახარჯა ხალხის სიყვარულისთვის.

„დღე, რომელმაც შეცვალა ჩემი ცხოვრება და ბიოგრაფია...“ — ასეთი წარწერა გაუკეთა კალენდარის ერთ ფურცელს, როდესაც, მთელი პასუხისმგებლობით გამბობ, უღანაშუალოდ დააკავეს. ე.წ. „გამომძიებელთა ჯგუფს“ ხელმძღვანელობდა ადამიანი, რომელმაც თანამდებობა მიიღო იმით, რომ იგი გაუნათლებელი, უთავმოყვარეო, უღირსი კაცია... პარადოქსია, მაგრამ მან ათასობით ადამიანი ჩასვა ციხეში. ბედნიერებაა, ეს რომ დამთავრდა, მაგრამ...“

ადამიანის განვლილი ცხოვრება ფასდება მისი შთამომავლობით. შესაბამისად, შვილიშვილები ყველანი სილამაზით, ჯანმრთელობით, გონიერებით დაჯილდოვდა უფალომ. კიდევ და კიდევ მადლობას ვუხდით მამას მისი გაკეთებული საქმიანობისთვის. ჩემი მხრივ ვენდობი ჩემს შვილს — 10 წლის ნუგზარ მჭედლიშვილს, რომელიც არ შელანავს არც სახელს, არც გვარს. კაცობიერად ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი. ამინ!

კახილ მჭედლიშვილი

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა „ოცნების“ მაისური დანვა

ქუთაისში, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა მაისური საჯაროდ დაწვა. მიზეზი წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების შეუსრულებლობაა. ფირფხ ბერაძის თქმით, ოჯახის წევრებიდან მხოლოდ ის იყო დასაქმებული და არჩევნების შემდეგ ისიც დაითხოვეს. ბერაძე ნიკეას ქუჩაზე მდებარე ხე-ტყის გადამამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა და ნოემბრის თვეში სხვა 130 თანამშრომელთან ერთად გაათავისუფლეს. ქარხნის მფლობელმა მიზეზად ცუდი მუშაობა და ფინანსების არქონა დაასახელა.

„ოცნება“ ჩემი საყვარელი პარტია იყო და ვიყავი მისი აქტიური მხარდამჭერი. ახლა კი მეზობლების სასაცილო გავხდი, დამცინიან — „ხომ დგასაქმა ბიძინამო“. ვითხოვ, რომ მომამაქციონ ყურადღება, აღმადგინონ სამსახურში და შეასრულონ ყველა დანაპირები,“ — ამბობს ფირფხ ბერაძე.

სამსახურში აღდგენისა და დახმარების თხოვნით ფირფხ ბერაძემ რამდენიმე სტრუქტურას უკვე მიმართა. ბერაძის თქმით, მან მოხსენებითი ბარათი დაწერა დავით უსუფაშვილის სახელზე და იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ ქუთაისის ოფისშიც, სადაც დახმარებას დაჰპირდნენ.

თუმცა, მისი თქმით, ამ დრომდე პასუხი არც ერთი მათგანისგან არ მიუღია. ფირფხ ბერაძის შვილის განცხადებით, ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია, ფირფხს ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი და დიამეტრით დაავადებული დედა, მაგრამ სოციალურად დაუცველის სტატუსი მინც არ მიანიჭეს.

„წინასაარჩევნოდ ხომ კარგად დადიოდა უბან-უბან გუბაზ სანიკიძე და დახმარებას გვპირდებოდა? სად არის ახლა? უკვე შვიდი თვე გავიდა, ბავშვები შიმშილით მეცოცებიან,“ — განაცხადა ბერაძის შვილმა.

მაისურის დაწვით ბერაძეების ოჯახს იმედი აქვს, რომ ხელისუფლების ყურადღებას მიიქცევს და რაღაც სახის დახმარებას მიიღებს.

ნათია მატარაძე psnews.ge



ქვეყნის პოლიტიკა

ყველაზე ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა არ იქნება ადვილი თქვენთვის.

ჯერჯერობით თუ შემოქმედებით მუშაობას დაიწყებთ, დიდ წარმატებას მიღწევით.

საქმიან სფეროში გაიზარდება თქვენი ინტერესი პარტნიორის წარმატებების მიმართ.

საქმიანობა იგივეა დამატებითი შემოსავლის წყაროებზე. კარგი იქნება თუ ახალ სამსახურსაც იშოვებთ.

მედიის კარგი იქნება განმარტებლობაზე სერიოზულად იზრუნეთ და შეეცადეთ სწორად იკვებოდეთ.

საქმიანობა იდეალურია დასვენებას. თუ სამუშაო რეჟიმი დასვენების საშუალებას არ გაძლევს, მაშინ ეცადეთ, მეგობრების გარემოცვაში დაისვენოთ.

სასწრაფო: თქვენთვის სასურველი ცვლილებები შორს აღარაა. ნაბიჯ-ნაბიჯ შეუბოვრად იარეთ მიზნისაკენ.

მორიგეობა: მთავარ ადგილზე სიყვარული იქნება. გელოთ რომანტიკულ თანდასახვევას.

შევიღვინო: წარმატება გელოთ ფინანსურ ოპერაციებში. თქვენთვის მნიშვნელოვან კონტრაქტებს გააფორმებთ.

სახის რქა: ეს კვირა ავტორიტეტის გამყარებასა და ცოდნის გაღრმავებას დაუთმეთ.

მეგობრები: თქვენ იქნებით თავდაჯერებული, ორგანიზებული. შეძლებთ შეასრულოთ დიდი სამუშაო.


თევზები: ხელმძღვანელის სკამის მორგება დაიწყეთ, ის თქვენ ძალიან მოგიხდებათ.

Table with 12 columns and 12 rows containing numbers and small portraits of people.

Table with 12 columns and 12 rows containing numbers.

სასარგებლო ალუბალი

ალუბალი სეზონის ყველაზე სასარგებლო ხილია. ზაფხულში, როცა განსაკუთრებით თავს იჩენს სხეულის ფორმებთან დაკავშირებული პრობლემები და გახდომი, ცელულოზის მოშორება და პლიაჟზე თამამად გასვლა გვსურს, ვერიდებით კალორიულ საკვებს და ამასთანავე გვინდა ორგანიზმი შევიცხოთ ყველა საჭირო ვიტამინებითა და მინერალებით, ალუბალი საუკეთესოა.



ამ ნაყოფის მუქი წითელი შეფერილობა პიგმენტი ანტოციანინის (anthocyanin) შედეგია, რომელიც გვეხმარება განწყობის ამაღლებაში, აქვს ანთების საწინააღმდეგო და ანტივირუსული ეფექტი, არეგულირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, ამცირებს არტერიულ წნევას.

ეს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება ფართოდაა გამოყენებული მედიცინაში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ. მისი ანტივირუსული და ბაქტერიციდული მოქმედება კი გრიპს, სასუნთქი გზების დაავადებასა და ანგიანას შველის.

მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერებმა კვლევები ჩატარეს, რამაც აჩვენა, რომ ალუბლის მწიფე ნაყოფს ასპირინის მსგავსად შეუძლია გაუმკლავდეს ანთებით პროცესებს და უსუაგდოს გაცივება. ამას უზრუნველყოფს სწორედ მასში შემავალი ფერმენტი ანტოციანინი. სამკურნალო თვისებებით 10 ცალი ალუბალი უტოლდება 1 აბ ასპირინს.

ალუბალი ასევე მდიდარია ფლიუმინის მქონე, რომელიც მონაწილეობს ერთროციტების (სისხლის წითელი ბუშტულაკების), ლეიკოციტების და თრომბოციტების წარმოქმნაში. ის არეგულირებს სისხლის შექმნის პროცესს და იცავს ორგანიზმს ანემიისაგან. ნაყოფის შემაღვნილობაში შემავალი ვიტამინი PP (ნიკოტინის მჟავა) აკონტროლებს ქსოვილების ყანვბადით მომარაგებას, აქვს სუნთქვის გამაჯანსაღებელი ეფექტი. სასიკეთოდ მოქმედებს სისხლძარღვ ორგანოებზე. ამ ვიტამინის ნაკლებობა ადამიანებში იწვევს პელაგრას (pellagra - ე.წ. „უხეშ კანი“).

და ბოლოს, ალუბლის მთავარი ღირსება - მაგნიუმი. თანამედროვე მედიცინა აღიარებს მას ქალის ნომერ პირველ მინერალად. ამ მაკროელემენტის მფარველობის

ქვეშ იმყოფება 300-ზე მეტი ნივთიერება, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ორგანიზმის ქიმიური რეაქციების განხორციელებაში და დაქარბის პროცესებში.

მაგნიუმი ერთ-ერთი ძირითადი მინერალი კომპონენტია ძვლოვან ქსოვილებში. მისი საკმარისი დოზა კალციუმს და D ვიტამინთან ერთად ამაგრებს ძვლებს, ამცირებს ასაკთან დაკავშირებულ ძვლოვანი ქსოვილების შემცირებას (დაბატარაებას).

ეს მინერალი არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, გლუკოზის რეგულირებას. ამასთანავე ამაღლებს განწყობას, გვეხმარება დალილობის დასაძლევად მენსტრუაციისა და მენოპაუზის დროს, ამცირებს მენსტრუალურ ტკივილებს, ხსნის კუნთების სპაზმს, აღმოფხვრის საშვილოსნოში სისხლის მიმოქცევას.

აქედან გამომდინარე, ალუბალი სასარგებლო ხილია განსაკუთრებით ქალებისათვის. ის დაბალკალორიულია, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და ორგანიზმში ცხიმების დაშლას. მდიდარია C ვიტამინით, აძლიერებს იმუნიტეტს. თქვენ თამამად შეგიძლიათ ჩართოთ თქვენს დიეტაში ეს ხილი.

perla.ge

Large crossword puzzle grid with various clues in Georgian and English. Includes a small portrait of a man at the bottom right.

ნავიდა დიდი ქალბატონი

2 მაისს ქალაქის საზოგადოებრივობამ უკანასკნელ გზაზე — პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძრიდან მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონამდე გააცილა ქუთაისის საპატიო მოქალაქე, გაზეთ „კვალი ნათელის“ რედაქტორი, პოეტი ჯანიკო გაბუნია.



წავიდა მშობლიური ქალაქის დიდი გულშემოტყვიარი, თბილი, ყველას გვერდში მდგომი და მოსიყვარულე, კეთილშობილი ქალბატონი. თავის ალალ, გულწრფელ შემოქმედებასთან ერთად, მან ლამაზი პიროვნული კვალი დატოვა საზოგადოების სსოვნაში. უფალმა დაამკვიდროს სამარადისო ნათელში.

გაზეთ „პ.ს.“-ის რედაქცია

ჯანიკო გაბუნია


გაზეთ „პ.ს.“-ის რედაქცია მწუხარებაში თანაუგრძობს მკაცრად გარდაცვალებულს, მუდღისა და სიძის დათო თათვის გარდაცვალების გამო.

Section titled 'ვინ არის უომოვ?' featuring a portrait of a man and text about a minister's resignation.

Section titled 'რას დააჩქარებთ?' featuring a portrait of a man and contact information for a news outlet.

ქროსოვრი

თარაზულად: 3. ერთ-ერთი წმინდანი ქალი. 5. „შესანიშნავი შედეგებიდან“ ერთ-ერთი. 6. ქალაქი ... დაბი. 8. სირაქლემას სახეობა. 9. ხუთი კაპიკი. 11. მდინარე სამხრეთ ამერიკაში.



შეუღალა: 1. შტატი ინდოეთში. 2. ქალაქი ტაილანდში. 3. ტკბილეულის ქართული საწარმო. 4. საქონლის შემოტანის აკრძალვა. 7. კონსტანტინე პლანკოვი. 10. მდინარე მიანმარში, ჩინდიუნის შენაკალი.

წინა ნომრის კროსოვრის პასუხები: თარაზულად: 3. ომიკონ. 5. ნოკა. 6. სპა. 8. ლოა. 9. მტუა. 11. ინგლისი. შეუღალა: 1. პიპინ. 2. ურო. 3. ობოლინი. 4. ნებტუნი. 7. მილა. 10. უგო.

სადიკა

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეული რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გაეორდეს!

9x9 grid for the 'სადიკა' puzzle with some numbers pre-filled.

რევაზ (ანდრია) ლუტიკა ნათლობის საიდუმლოს ეზიარა



28 აპრილს, ბზობის ღღეს, სამების საკათედრო ტაძარში კიდევ ერთი პატარა ქართველი შეემატა დიდ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროს. 2 წლის და 8 თვის მონა ღვთისა რევაზ ლუტიკის ნათლობის რიტუალი არქი-

მანდრიტმა ანთიმოზმა შესრულა. ნათლებმა: გიორგი შარვაშიძემ, ნიკოლოზ ყაჭვიშვილმა, ირაკლი ბეჯითაშვილმა, ესმა ხეცურიანმა, ენძელა მაჭავარიანმა, ანა უმფრიანმა და ნინო ბაბუნაშვილმა თავიანთ მირონცხებულ ნათლულს ნათ-

ლობის სახელად ანდრია უწოდეს და უფლის წინაშე მისი სულიერი მშობლობა იკისრეს. ახლადმონათლული რევაზ-ანდრია ლუტიკე გაზრდილიყოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი, სასახელო

ვაჟკაცი, მშობლების — ნატო გუბელაძისა და გივი ლუტიკის კვალზე, თავისი ღამაზი მომავლით გაეხარებინოს ქვეყანა.

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია

ჰიმერიონი
qimerioni.ge

ნიგნები უნ გელოდებ!

მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: (790) 927 927.

სოფლის თუ ფარმის?

როგორ ავარჩიოთ და მოვიხმაროთ კვერცხი

ფრინველის კვერცხი მალაღობით ღირებულების მქონე პროდუქტია. იგი შეიცავს თითქმის ყველა ამჟამად ცნობილ ვიტამინს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია A, D, E, K და P ვიტამინები. კვერცხის გულის თითქმის მესამედს ცხიმები შეადგენს. თუმცა კვერცხი, ძირითადად, საკვები ცილების წყაროა (კვერცხის წონის 13% ცილებია). კვერცხის ცილა და ცხიმი ბიოლოგიურად სრულფასოვან და აღამიანისთვის ადვილად ასათვისებელ ნივთიერებებს მიეკუთვნება. თუმცა, გაითვალისწინეთ: მიუხედავად კვერცხის მალაღობით ღირებულებისა, მისმა ჭარბმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ან ალერგიული რეაქცია. ბაზარზე ძირითადად ქათმის, ინდაურის ან მწყერის კვერცხს ვხვდებით. ბატისა და იხვის კვერცხის მოხმარება თერმული დამუშავების გარეშე საკვებად აკრძალულია, რადგან ძალიან მაღალია მათი დასნებოვნების რისკი სალმონელის ჯგუფის ბაქტერიებით (5 წუთი ხარშვაც კლავს სალმონელს ბაქტერიას).

კვერცხის შენახვის და მოხმარების ნესები და ვადები

კვერცხის შენახვისას მთავარია, რომ: მუდმივად დაცული იყოს საკმარისად გრილი ტემპერატურა (+20°C-ზე მაღალ ტემპერატურაზე კვერცხი გაფუჭებას იწყებს); არ დაზიანდეს კვერცხის ნაჭუჭი და თხელი, მიკროსკოპული აპკი, რომელიც ნაჭუჭს გარედან აკრავს და მიკრობებისგან იცავს. ამიტომ სრულიად დაუშვებელია შესანახი კვერცხის გარეცხვა ან უხეშად გაწმენდა — ამ დროს დამცავი აპკი ზიანდება და ნაჭუჭი მიკრობებისთვის გამტარი ხდება. დაზიანებული ნაჭუჭიდან კვერცხში, შესაძლოა, მავნე მიკროორგანიზმებმა შეაღწიოს და გამრავლდეს, რაც ადამიანთა მოწამვლის მიზეზი შეიძლება გახდეს.

სოფლის თუ ფარმის?

მაღაზიებში, როგორც წესი, ფერმის კვერცხი იყიდება (დაუშვებელია მაღაზიაში კვერცხის მიღება ვეტერინარული საბუთის გარეშე). თუმცა, ყველას შეგვიძინებია, რომ ე.წ. „სოფლის კვერცხი“, ანუ სოფელში, გლეხის ეზოში ღაღად

მოსერიან ქათმის კვერცხი ბევრად უფრო გემრიელია.

რომელი სჯობს, რომ შევიძინოთ?

სოფლის კვერცხი მართლაც უფრო გემრიელია. ეს, ძირითადად, იმითაა გამოწვეული, რომ სოფლის ქათამს უფრო მრავალფეროვანი კვება აქვს: ნელლი ბალახი, ჭია-ღუა, მარცვალი. ფერმის ქათმები კი სპეციალურად შეზავებული კომბინირებული საკვებით იკვებებიან — ზოგადად, ბევრად უფრო ერთგვაროვანი კვება აქვთ. სამაგიეროდ, ფერმაში გაცილებით მკაცრად კონტროლდება ფრინველის ჯანმრთელობა და, შესაბამისად, გაცილებით ნაკლებია კვერცხის დასნებოვნების შესაძლებლობა. თან ფერმის კვერცხის ზედაპირიც უფრო სუფთაა — ფერმა მოწყობილია ისე, რომ კვერცხები დადებისთანავე შორდება ფრინველს და ამიტომ არ ბინძურდება. გლეხურ მეურნეობაში ფრინველების ჯანმრთელობის კონტროლიც ნაკლებია, კვერცხის დასნების რისკიც მეტია. ვარდა ამისა, აქ ხშირად კვერცხის შენახვის ვადებს და პირობებსაც არ აქცევენ დიდ ყურადღებას (გლეხურ მეურნეობაში კვერცხს შეიძლება, უბრალოდ, კარადაში აგროვებდნენ რამდენიმე კვირის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ გაყიდონ).

მოკლედ რომ ვთქვათ, ფერმის კვერცხი გარანტირებულად უფრო სავალი და უვნებელია. თუმცა, გემოთი და კვებით ღირებულებით სოფლის კვერცხს ჩამორჩება. ამიტომ, გირჩევთ, სოფლის კვერცხი მხოლოდ კარგად მოხარშული ან შემწვარი მიირთვათ. ხოლო თუკი უში კვერცხის ყერძს ამზადებთ, სჯობს ფერმის კვერცხი გამოიყენოთ!

ყოველი შემთხვევისთვის მაინც იცოდეთ: თუკი უში კვერცხის მიღებიდან 12-24 საათში დაგეგმილ შემთხვევაში, გულის რევა, ღებინება, მუცლის ტკივილი, ფაღარათი — შესაძლოა, ეს სალმონელოზის ნიშნები იყოს. არ შეშინდეთ, დაავადება ანტიბიოტიკებით კარგად იკურნება. მაგრამ აუცილებლად და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!

რას ნიშნავს დიეტური კვერცხი?

„დიეტური“ კვერცხი, უბრალოდ, ახალს ნიშნავს. დადებიდან 7 დღის განმავლობაში (+20°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე შენახვის პირობებში) კვერცხი დიეტურად ითვლება.

კვერცხის არჩევა

კვერცხის არჩევისას გაითვალისწინეთ შემდეგი: კვერცხის ნაჭუჭის ფერს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს — ის, უბრალოდ, ფრინველის ფერზეა დამოკიდებული.

მთავარი, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოთ — რამდენი ხნისაა კვერცხი, რაც ახალია, მით უფრო სასარგებლოა იგი. ამიტომ ეცადეთ, შეიძინოთ რაც შეიძლება ახალი კვერცხი. ფერმის კვერცხის შეფუთვაზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოშვების თარიღი და ვარგისიანობის ვადა (ან თარიღი). მოეხედავთ ეს წარწერა. ნუ შეიძინებთ ფერმის კვერცხს, რომელსაც შეფუთვაზე გამოშვების თარიღი არ აწერია!

მიაქციეთ ყურადღება, რა პირობებში ინახება კვერცხი მაღაზიაში. ნუ შეიძინებთ კვერცხს, რომელიც მაღაზიაში გაფრინების გარეშე, სიცხეში ალაგია.

თუ გეჭვი გაქვთ, რომ კვერცხი შესაძლოა სალი არ იყოს (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა „სოფლის კვერცხს“ ყიდულობთ), გირჩევთ, კარგად დააკვიროთ და ეს რჩევები გაითვალისწინოთ:

ახალ კვერცხს არ უნდა ჰქონდეს კრიალა ზედაპირი. ის უნდა იყოს მჭრქალი. ხელის გადასმის დროს უნდა შეიგრძობოდეს ხაოიანი ზედაპირი. ძველი კვერცხის ზედაპირი პრიალებს; დაიჭირეთ ხელში კვერცხი, ის უნდა იყოს საკმარისად წონადი; დაყნოსეთ. მას არ უნდა ჰქონდეს სუნი, თუ სუნი აქვს, წარმოიდგინეთ, გატყვის შემდეგ რა მძაფრი სუნი ექნება. თუ გახედავთ ქათმის კვერცხს სინათლეზე, მას უნდა ჰქონდეს ერთგვაროვანი ღია-ნარინჯისფერი შეფერილობა, ყოველგვარი მუქი ლაქების გარეშე. მუქი ლაქები ნიშნავს, რომ კვერცხი გაფუჭებულია. თუ საშუალებება, კვერცხის სიახლე შეიძლება წყალში ჩაღებთ შემოწმდეს. ამისთვის ჩაასხით ჭიქაში 3/4 მოცულობა წყალი და ფრთხილად ჩაუშვით მასში კვერცხი: ახალი (3-დღეზე) კვერცხი ჩაიძირება ჭიქის ძირზე; 1 კვირის კვერცხი ტივტივებს წყალში ვერტიკალურ მდგომარეობაში; კვერცხი, რომელიც დადებულია 3 კვირის ან მეტის წინ, მაშინვე წყლის ზედაპირზე ამოტივტივდება (მისი ნაწილი ამოვა წყლის ზემოთ);

არ შეიძინოთ კვერცხი, თუკი შეამჩნევთ: ნაჭუჭი დაზიანებულია ან გატყვილია; ნაჭუჭი დასერილია; ნაჭუჭი პრიალებს; კვერცხს არასასიამოვნო სუნი აქვს.

კვერცხის შენახვა და მოხმარება სახლში

კვერცხი, სასურველია, მაცივარში შე-



ინახოთ. მოხმარების წინ კვერცხი უნდა გაირეცხოს: სუფთა ნაჭუჭზე ციკოვლეთვის არის მიკროორგანიზმები, მათ შორის, შესაძლოა, პათოგენურებიც, რომელიც გატყვისას, შესაძლოა, კვერცხის ცილაში მოხვდეს.

სასურველია, ყოველი კვერცხი ცალცალკე ჭურჭელში გატყნოთ, რათა მისი სისალე შეამოწმოთ. ახალი, სალი კვერცხის ცილა მკვრივია, მისი საზღვარი კარგადაა გამოხატული და თევშზე გადმოსხმისას ინარჩუნებს კვერცხის ფორმას, ხოლო გულს თითქმის ბურთის ფორმა აქვს. თუ კვერცხის ცილა თხევადია, ხოლო გული გაწელილია, ეს არც თუ ისე ახალი კვერცხია (თუმცა, მისი საკვებად გამოყენება შესაძლებელია).

კვერცხი უნდა იხარშოს არანაკლებ 5 წუთი, რომ თავი დავიცვათ სალმონელოზისგან.

ნუ მოიხმარებთ კვერცხს, რომლის გატყვისას აღმოაჩნებთ, რომ:

კვერცხს ცუდი სუნი აქვს; გული ნაჭუჭზე მიხმარია; ნაჭუჭის შიდა მხარეზე ობი აქვს მოკიდებული; კვერცხის გული მომწვანოა; კვერცხის ცილა და გული ერთმანეთშია არეული; კვერცხს სისხლიანი ჩანართები აქვს.

რა თქმა უნდა, თუკი აღმოაჩნებთ, რომ კვერცხი ცუდია, მომავალში შეეცადეთ იგი სხვა მიმწოდებლისგან შეიძინოთ. თუმცა, ასევე კარგს იზამთ, თუკი აცნობებთ მაღაზიას იმის შესახებ, რომ მისი გაყიდული კვერცხი გაფუჭებული იყო — მისთვის ეს ნამდვილად ფასეული ინფორმაციაა. შეეცადეთ, დაუბრუნოთ იგი მათ.

და ბოლოს: **ნუ ჩაღებთ ახალ კვერცხს ძველის შეფუთვაში**, ვინაიდან ეს უკანასკნელი, შესაძლოა, სალმონელით იყოს დაზინტურებული. გამოიმუშავეთ ჩვევა: კვერცხების ერთგვარად შეფუთვა და ცლისთანავე გადაადგეთ! მაცივარში კვერცხების ჩასადებთ უჯრა კი რეგულარულად გაწმინდეთ რაიმე ანტისეპტიკური ხსნარით.